გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 37
(11 494)

15 – 17 მაისი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩის ოცი წლის წინანდელი გუნდების შემადგენლობა ისევ ერთადაა, ამჯერად — თბილისში! 4



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

## მიითვალეთ კიდევ ერთი ევროპის ჩემპიონი!



ალექსანდრე დოხტურაშვილი

ეს საპატიო წოდება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სტამბოლში გამართულ კონტინენტის ჩემპიონატში მოიპოვა 21 წლის სართიჭალელმა ფალავანმა ალექსანდრე დოხტურაშვილმა 69 კგ-მდე წონით კატეგორიაში. შარშან ამ სპორტსმენმა ახალგაზრდებს შორის მოიგო ევროპის პირველობა და მსოფლიო პირველობის პრიზიორი გახდა. და აი, ზრდადასრულებული ფალავნის რანგში პირველი შესანიშნავი გამარჯვება. ეჭვიც არ არის, რომ ევროპის ჩემპიონის ტიტულის დაუფლება მისი პირველი და სერიოზული ნაბიჯია ოლიმპიური კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზაზე.

სტამბულში ოქროსთან ერთად ერთი ვერცხლის მედალიცაა მოპოვებული, იგი წილად ხვდა თბილისელ ირაკლი ჭოჭუას (58 კგ). ირაკლიმ ახალგაზრდებს შორის ევროპის პირველობაში 1999 წელს ოქროს მედალი მოიგო.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა ნაკრებმა V ადგილი დაიკავა. ალექსანდრე დოხტურაშვილის მწვრთნელებია: კ. მოხევიშვილი, მ. გედეხაური და ჯ. რეხვიაშვილი; ირაკლი ჭოჭუა — ვ. ხარაზოვის შეგირდია.

ჩვენი ნაკრები სტამბოლიდან დღეს ბრუნდება.

## სპორტსმენთა სხვადასხვა თაობა დედა-უნივერსიტეტს ექომაგება! 4



დინამო (თბილისი) — კარლ ცეისი (იენა) 3–1

## 8 ქართულ სპორტს კიდევ ერთი იმედი გამოაცალეს — სპორტის ეროვნულმა ფონდმა ლატარიების გათამაშება შეწყვიტა!

## ნონა-60 2

## საფეხბურთო ევროპა: ჩემპიონატები, მატჩები... 6

## საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში 4-5

## დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებზე, სხვადასხვა რანგის ტურნირებზე მიღწეული მაღალი შედეგებისათვის, სამშობლოსათვის თავდადებისა და მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსისათვის, უმაღლესი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოვდნენ ჭადრაკში საქართველოს ქალთა ოლიმპიური ნაკრების წევრები, საერთაშორისო დიდოსტატები;

***ნანა ალექსანდრია*** — ქალთა მსოფლიო პირადი ჩემპიონატის ორი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელი, მსოფლიო საჭადრაკო ექვსგზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი:

***ქეთევან არახამია*** — მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ორგზის ჩემპიონი, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი, ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული;

***ნინო გურიელი*** — მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების სამგზის ჩემპიონი და ვერცხლის მედლის მფლობელი;

***ნანა იოსელიანი*** — ქალთა მსოფლიო პირადი ჩემპიონატის ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლის მფლობელი, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ხუთგზის ჩემპიონი. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი. ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული;

***მაია ჩიბურდანიძე*** — მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონი. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების რვაგზის ჩემპიონი, ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული.

## ამ დღეებში, თბილისში, ისინიც შეიკრიბნენ, ვისაც ბედნიერება ხვდათ წილად და დიუსელდორფის ფინალურ მატჩს ესწრებოდნენ

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო







## ნბა 3

## ავსტრიის ეტაპი კულტჰარდმა მოიგო



## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

**ველოსპორტი.** ფრანგი მიგელ მარტინესის და ესპანელი მარგარიტა ფულონას გამარჯვებით დასრულდა მსოფლიო თასის მეორე ეტაპი მაუნთინბაიკში ოლიმპიურ დისტანციაზე იტალიის ქალაქ სარესტინოში.

* **

**გერმანელი** ენრიკო პოიტშკემ გამარჯვებით მოიგო ჩეხეთის გზებზე მიმდინარე „მშვიდობის ველორბოლის" მეოთხე ეტაპი.

**რაგბი.** სამხრეთ ნახევარსფეროს ყველაზე წარმომადგენლობითი ტურნირი, რომელიც აერთიანებს ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის უძლიერეს კლუბებს, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა — უკვე გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. ნახევარფინალები 19-20 მაისს გაიმართება, ფინალი — 26 მაისს.

* **

**ჩოგბურთი.** ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასზე გუშინ დასრულდა ქალთა ტურნირი ინგლისის ქ. სუონსში. ფინალი რუსული გამოდგა — ილონა ვიშნევსკაიამ ორ სეტში მოუგო ოქსანა კარიშკოვას.

* **

**გამოქვეყნდა** ჩოგბურთში ქალთა ახალი რეიტინგი. ხუთეული უცვლელია. კვლავ პირველობს შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი, შემდეგ მოდიან: ვინუს უილიამსი, ლინდსეი დევენპორტი, ჯენიფერ კაპრიატი, მონიკა სელეში (ოთხივე — აშშ).

**ძიუდო.** რუსეთის ფედერაციის ძიუდოს ფედერაციამ გამოაქვეყნა ეროვნული ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 18-23 მაისს პარიზში ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს. ნაკრებში ერთი ქართველიცაა — ლაშა ფიფია.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 3 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 8 თვე და 24 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით

ერისა და ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის, თავდადებისა და მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსისათვის, საქართველოში ჭადრაკის ფენომენის აღორძინებაში, ოლიმპიური იდეალების პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, მეოცე საუკუნის ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი ***ნონა გაფრინდაშვილი დაჯილდოვდეს I ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.***

## ნონა დიდების მწვერვალზე!

**„შენ გეუბნები, ჭადრაკო,**
**ნონას მწვერვალზე რომ ახვალ,**
**იქიდან უთხარ მსოფლიოს,**
**ჭადრაკი ხარ თუ ნონა ხარ“**

ჯანსუღ ჩარკვიანმა იუბილარი ნონასადმი მიძღვნილი ლექსის ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი გამოსვლა და ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სადაც ნონა გაფრინდაშვილის იუბილე გაიმართა, კიდევ ერთხელ იქუხა ტაშმა. შესანიშნავად ორგანიზებულ ამ საღამოზე მისალმებებს და სამადლობელო სიტყვებს ბოლო არ უჩანდა. იუბილარს პატივი მიაგეს როგორც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეებმა და საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, ისე უცხოეთიდან ჩამოსულმა საპატიო სტუმრებმა, მათ შორის ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა.

საიუბილეო საღამოს გახსნაზე შესავალ სიტყვაში საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ თქვა:

„დღეს ჩვენ შევიკრიბეთ, რათა საზეიმოდ მივაგოთ ღირსეული პატივი მსოფლიოს საჭადრაკო სამყაროს გამორჩეულ დედოფალს, ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს მისი დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით.

ქალბატონ ნონას სპორტული წარმატებები და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ყველასათვის კარგადაა ცნობილი. ცნობილია, ის უმაღლესი ჯილდოებიც, რომლითაც დაფასებულია მისი ღვაწლი. მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ უმთავრესი ამ ჯილდოთაგან ის საყოველთაო სიყვარულია, რომელიც მან დაიმსახურა და არა მხოლოდ თავის ქვეყანაში. ნონას სახელი და ავტორიტეტი მხოლოდ მისი სპორტული მიღწევებით, ჩემპიონთა ჩემპიონობით არ შემოიფარგლება. იგი ცხოვრებაშიც დიდი ქალბატონი, დიდი ნონა, დიდი პიროვნება, დედოფალთა დედოფალი რჩება.

ქალბატონი ნონა მხოლოდ ჭადრაკის დიდოსტატი როდია, იგი ამასთან, არის ქართველი ქალის ფენომენის განსახიერება თავისი პიროვნული ღირსებებით და ჩვენ ვამაყობთ ყველაფრით, რაც ერის სათაყვანებელ ამ ქალბატონის სახელთანაა დაკავშირებული.

მოდით, ერთად გავიხსენოთ:

— პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში; პირველი ქართველი მსოფლიოს ხუთგზის ტრიუმფატორი;

— საჭადრაკო ოლიმპიადების თერთმეტგზის პირველი დამლაშქრავი მთელს დედამიწაზე;

— ევროპის ჩემპიონთა თასის პირველი მფლობელი;

— პირველი, ვინც მოიპოვა საჭადრაკო „ოსკარი“. იმავე „ოსკარის“ პირველი ორგზის მფლობელი;

— ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული პირველი ქალი მსოფლიოში;

— პირველი საერთაშორისო დიდოსტატი ქალებში, ასევე პირველი ქალი, ვინც საერთაშორისო დიდოსტატობა ვაჟებში მოიპოვა;

— პირველი ქართველი მოჭადრაკე — მსოფლიოს ჩემპიონი ვეტერანებში;

— პირველი ქალი, საერთოდ, მსოფლიო სპორტის ისტორიაში, რომლის სახელობის თასი გადაეცემა ქალთა და ვაჟთა შეჯიბრებაში გამარჯვებულ ერთიან გუნდს;

— საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი და პირველი საპატიო პრეზიდენტი.

— და კიდევ პირველი ქალი, რომლის სახელი ამიერიდან საქართველოში სპორტული ობიექტის აბრაზე გაჩნდება. მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ თბილისის ჭადრაკის სასახლეს, ქალბატონ ნონას სახელი მიენიჭა“.

ტელეეკრანიდან მიესალმა იუბილარს სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. აი მისი სიტყვები: „თქვენ იყავით არა მარტო ფანტასტიკური სპორტსმენი ჭადრაკის სამყაროში, არამედ მთელი სპორტული სამყაროს შესანიშნავი წარმომადგენელი. მე თქვენ გეთაყვანებით და ქედს ვიხრი თქვენს წინაშე. თქვენ ქვეყნისთვის უმძიმეს პერიოდში ხელმძღვანელობდით საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს და მე, როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ ყველაფრისათვის.“

იქვე გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის წერილი. „ღმერთმა მოგაგოთ, — წერს უწმინდესი, — სანაცვლოდ იმ დიდი სიკეთისა და დიდი სიხარულისათვის, რასაც ათეული წლების მანძილზე ანიჭებდით და ანიჭებთ ჩვენს ერს“.

ედუარდ შევარდნაძე: „გულწრფელად გეტყვით, ვამაყობ იმით, რომ ვარ იმ ქვეყნის პრეზიდენტი, რომლის მოქალაქე შენ ხარ, ჩემო ნონა“.

მთელმა საქართველომ მიაგო ღირსეული პატივი თავის ღირსეულ შვილს.

**„ლელო“ – „ბუმათი“**

## უნივერსიტეტის ლანძღვას არავის ვაპატიებთ!

ძვირფასო მკითხველო, მოგესალმებით სპორტსმენთა სხვადასხვა თაობის უნივერსიტეტელები — ოლიმპიური, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები:

ვახტანგ ბალავაძე, ნოდარ ჯორჯიკია, მიხეილ ქორქია, დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე, ელდარ კურტანიძე, ალექსი მოდებაძე.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არა მარტო განათლების ფლაგმანი, ქართველთა სულიერების ნამდვილი აღიარებული ტაძარია, სადაც ჩვენი ერის ცნობიერება ყალიბდება, არამედ, თამამად შეიძლება ითქვას — უნივერსიტეტი ქართული სპორტული ელიტის ნამდვილი კერაცაა... აქ არაერთი დიდი ქართველი სპორტსმენი აღზრდილა, რომელთა სახელთან დაკავშირებულია მრავალი მსოფლიო მიღწევა. უნივერსიტეტში საუკეთესო სტუდენტი-სპორტსმენების აღზრდის ურღვევი ტრადიცია მისი ძველი თუ დღევანდელი რექტორატის დიდი დამსახურებაა. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ, უნივერსიტეტელი სპორტსმენებისადმი უანგარო თანადგომას, რასაც უნივერსიტეტის ახლანდელი რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი იჩენს. ახლა, როდესაც ქართველი სტუდენტები და მათ შორის სპორტსმენები, ურთულეს მდგომარეობაში იმყოფებიან, შეიძლება კი საღად მოაზროვნე ადამიანმა არ დაინახოს, არ დააფასოს ის უზარმაზარი საქმე, რასაც უნივერსიტეტის რექტორატი ეწევა? თუმცა (ჩვენდა სამწუხაროდ!), ასეთებიც გვყოლია, რომლებიც მადლობის ნაცვლად, ხელუკუღმა ესვრიან ქვასა და ტალახს ამ კეთილი, მამულიშვილური საქმის მკეთებელთ და უნივერსიტეტს. სწორედ რომ ამაზე უთქვამს დიდ ვაჟას შეუდარებელი სიბრძნით; „ავსა რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“.

ახლა ისევ ჩვენს სათაყვანებელ უნივერსიტეტს დავუბრუნდეთ. რაც ჩვენ უნივერსიტეტის სიკეთე და მადლი გვახსოვს, რაც ჩვენ უნივერსიტეტმა ცოდნა და ერის სიყვარული შეგვათვისა, არაერთხელ გამოგვდგომია სპორტსა და ცხოვრებაში... შეგახსენებთ, რომ მიუხედავად ძნელბედობისა, დღეს უნივერსიტეტი აღმავლობის გზაზეა. ჩვენ, სპორტსმენები, რომელთათვისაც თეთრი ტაძარი, გამარჯვებათა გზამკვლევი და მფარველი იყო, მის აუგად ხსენებასა და ლანძღვას არავის დავანებებთ... იქ ხომ ჩვენი საყვარელი პროფესორ-მასწავლებლები მუშაობდნენ და მუშაობენ.

ამიტომაც მივიჩნიეთ საჭიროდ, ეს პატარა წერილი გამოგვექვეყნებინა, რათა კიდევ ერთხელ შევახსენოთ და დავანახოთ მტერ-მოყვარეს, რომ უნივერსიტეტი უნივერსიტეტია, ქართველი ერის ცოდნის აკვანია და ჩვენ კი იმ უნივერსიტეტელთა წარმომადგენლები ვართ, რომლებიც არც ერთი წამით არ უღალატებენ მშობლიურ სიყვარულში, მუდამ უერთგულებენ მის მრწამსს.

გვიყვარდეს უნივერსიტეტი და შევუნარჩუნოთ იგი მომავალ თაობას ისეთი როგორიც იყო და არის.

*P.S. ჩვენს მიერ ზემოთ ნათქვამ გულწრფელ სიტყვებს, უერთდებიან მრავალრიცხოვანი სხვადასხვა რანგის სპორტსმენები, რომლებიც უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს სწავლობდნენ და სწავლობენ და რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. დედაუნივერსიტეტისადმი მავანთა უმადურობა ვერანაირად ვერ დაჩრდილავს ცოდნის ამ სპეტაკი ტაძრის წარსულს, აწმყოს და მომავალს.*

მშვილდოსნობა
აჭარის ღია ჩემპიონატი

## ხანდაზმული რეკორდები დაემხო

დამთავრდა 2001 აჭარის ღია ჩემპიონატი მშვილდოსნობაში, რომელიც ფაშიზმზე გამარჯვების 56-ე წლისთავს მიეძღვნა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქ. ბათუმის ხელვაჩაურის რაიონისა და სომხეთის უძლიერესი მშვილდოსნები ქალთა შორის მ-1 ვარჯიშში საუკეთესო შედეგი — 1917 ქულა აჩვენა სიდნეიში ოლიმპიადის მონაწილემ ბათუმელმა ხათუნა ფუტკარაძემ. 1270 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ასევე ოლიმპიადის მონაწილემ ასმათ დიასამიძემ, ხოლო 1258 ქულით მესამე ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი ოლგა ლადიგინა, მამაკაცებს შორის 1262 ქულით პირველ ადგილზე გავიდა ბათუმელი სერგო ბერიძე. 1241 ქულით მეორე ადგილი დაიკავა სომხეთის გუნდის წარმომადგენელმა არტურ ბაშიკიანმა, ხოლო მესამეზე 1158 ქულით მისი თანაგუნდელი არმენ დავთიანი იყო.

აღსანიშნავია, რომ მ-1 ვარჯიშის შეჯიბრების დროს ხათუნა ფუტკარაძემ და სერგო ბერიძემ 50 მ დისტანციაზე დაამყარეს საქართველოს ახალი რეკორდები — შესაბამისად 332 და 334 ქულა, ძველი რეკორდი ეკუთვნოდათ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს ნატო ნასარიძეს 330 ქულა, რომელიც დამყარებული იყო 1991 წ. და თბილისელ ვადიმ რეშიტოვს 329 ქულა (1985 წელი). დაძაბულად წარიმართა ფინალური შეჯიბრება 70 მ კლასიკური ოლიმპიური სისტემით. ქალთა შორის აჭარის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ასმათ დიასამიძემ. მეორე ადგილზე გავიდა ხათუნა ფუტკარაძე, მესამე იყო ოლგა ლადიგინა.

ვაჟთა შორის გაიმარჯვა საქართველოს ნაკრების წევრმა, სპორტის ოსტატმა ლადო ბოლქვაძემ — 1223 ქულა, მეორე იყო დათო შამილაშვილი — 1197, მესამე — არმენ დავთიანი (სომხეთი) — 1166.

**რაფიელ ფირცხალავა,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი**
*(მასალა მიღებულია ფაქსით)*

ჩოგბურთი ნოდარ დუმბაძის ხსოვნის ტურნირი

## მომავალი ჩოგბურთელები „მზიურიდან“

მწერალ ნოდარ დუმბაძის სახელთან, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია ვერეს ხევში ბავშვთა პარკის „მზიურის“ გაშენება, რომლის სრული კეთილმოწყობა, სამწუხაროდ, აღარ მოხერხდა. თუმცა, აქ მოზარდებისთვის მაინც მოიძებნება გასართობი და არც სპორტია გამონაკლისი. სწორედ ამ პარკში გაიმართა ამ დღეებში საინტერესო საჩოგბურთო ტურნირი სხვადასხვა ასაკის ჭაბუკებისა და გოგონებისთვის.



ეკა გორგაძე, I ადგილი

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.** *1987-88 წლიანები. ჭაბუკები:* 1. ირაკლი დარახველიძე, 2. ლევან ქაშიბაძე, 3. ზურაბ ტარკაშვილი; ***გოგონები:*** 1. თათია მიქაძე, 2. თინა ასლანიშვილი, 3. ნათია გეგია; ***1989-90 წ.წ. მოზარდები:*** 1. რეზო ოსაძე, 2. ნინა კაკულია, 3. ანდრო თავხელიძე; ***გოგონები:*** 1. თეონა ცერცვაძე, 2. ლიკა რაზმაძე, 3. ნუკა მშვიდობაძე; ***1991-92 წწ. ჭაბუკები:*** 1. შოთა პაიჭაძე, 2. მიხეილ მაჩაბლიშვილი, 3. დიმიტრი თაქთაქიშვილი; ***გოგონები:*** 1. ეკა გორგაძე, 2. ნათია ჯაოშვილი, 3. თათია კახელიშვილი, ***1985-86 წწ. ჭაბუკები:*** 1. ვახტანგ მჭედლიშვილი, 2. ლევან ლორია, 3. შოთა ფალავა; ***1993 წლიანები. ბიჭები:*** 1. დათო ხუციშვილი, 2. ილია ჯიქია, 3. ნიკა ქოჩიაშვილი.

**ბიჭი გორდაძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
*რობერტ ბაგრიანის ფოტოები*




## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. ვინ იყო ის პირველი ქალი, რომელმაც გადაცურა ლამანშის სრუტე?***
ა) ეტელ ლეკი
ბ) ჰერტრუდა ედერლე
გ) ეფრაზია დონელი

***2. რომელმა ვაჟმა მოცურავემ გაცურა პირველმა 100 მ. თავისუფალი სტილით ერთ წუთზე ნაკლებ დროში?***
ა) დიუკ კახანამოკუმ
ბ) იასუი მიაზაკიმ
გ) ჯონ ვაისმიულერმა

***3. ვის ეკუთვნის ინვალიდებისთვის სპეციალური ოლიმპიური თამაშების ჩატარების იდეა?***
ა) ლორდ კილანინს
ბ) ჯონ კენედის
გ) ხუან ანტონიო სამარანჩს

***4. რამდენი წლით ჩამორჩება ფეხბურთის დანერგვა რაგბს?***
ა) 50 წლით
ბ) 60 წლით
გ) 70 წლით

***5. სად ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა კავშირში ალპინიზმს და რომელ წელს?***
ა) რუსეთში 1920 წელს
ბ) შუა აზიაში 1922 წელს
გ) საქართველოში 1923 წელს

## წიგნის თარო

**რამდენიმე** ათეული წელიწადია საგარეჯოში მუხლჩაუხრელად შრომობს და ახალგაზრდა თაობის აღზრდა-დაოსტატებას ემსახურება ქართულ ჭიდაობაში საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი, მწვრთნელი გივი ეპიტაშვილი. 1968 წლიდან მოყოლებული ამაგდარმა მწვრთნელმა თაობები აზიარა ქართულ ჭიდაობას და სამბოს. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება. გივი ეპიტაშვილი გამოცდილი კორესპონდენტიცაა. რაიონული თუ რესპუბლიკური პრესის ფურცლებიდან, იგი საქმის ცოდნით მოუთხრობს მკითხველებს რაიონის სპორტულ ცხოვრებაზე. და აი, ამ დღეებში ავტორმა ერთ წიგნად აკინძული თავისი წერილების კრებული გამოსცა „ცხოვრების გზა გოგლამ დამილოცა“, რაც ამავე დროს საგარეჯოს რაიონის სპორტის, განსაკუთრებით ჭიდაობის სახეობების ათწლეულების ისტორიას მოიცავს.

წიგნის გამოცემაში ავტორისთვის დიდი დახმარება გაუწევია რაიონში სპორტის გამოჩენილ ქომაგს თენგიზ ოქროცვარიძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალოსნობა თბილისის ღია ჩემპიონატი

# ფიცარნაგზე ქალიც გამოჩნდა...

ძალოსნობის პოპულარობა ჩვენში უპირველესად ქართველი ოლიმპიური ჩემპიონობისა და პრიზიორების წარმატებებმა განაპირობა. სამწუხაროდ, 6 წელიწადია საქართველოს ჩემპიონატი არ ჩატარებულა, წლეულს ეს მანკიერება აღმოფხვრა, ყოველ შემთხვევაში, სპორტის დეპარტამენტი მოწადინებულია ახალი საუკუნიდან მაინც აღდგეს ეროვნული ჩემპიონატების ჩატარება და არა მხოლოდ ძალოსნობაში. მთელი დატვირთვა ამ წლებში თბილისის ღია ჩემპიონატზე მოდიოდა. ახლაც მოიწვიეს მსურველები, მაგრამ აფხაზეთის ორი და მცხეთის ერთი წარმომადგენლის გარდა, არავინ გამოსულა არენაზე. ეგაა, საჩხერელი სპორტსმენები თბილისში ოსტატდებიან და მათი სიმრავლე, თბილისელების შემდეგ აშკარა იყო.

დედაქალაქის ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის ყველაფერი გააკეთა თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზაღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურმა (თავმჯდომარე დ. ჯელაძე, სპორტის სამმართველოს უფროსი ლ. რაზმაძე), ძალოსნების ფედერაციამ (პრეზიდენტი რ. გურგენიძე). ასპარეზობის ავტორიტეტი იმანაც აამაღლა, რომ მასში მონაწილეობდა ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდსმენი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი გიორგი ასანიძე და... პირველად საქართველოს ძალოსნობის ისტორიაში ფიცარნაგზე ვიხილეთ ქალი — ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის II კ. სტუდენტი ქეთევან კოპალეიშვილი (69 კგ, მწვრთნელი გ. ფარულავა), რომელმაც 55 კგ აიტაცა და 70 კგ. აკრა. ეს შედეგი საშუალო მაჩვენებელია ევროპაში. საერთოდ, ამ ჩემპიონატში ნაჩვენები ზოგიერთი შედეგი ევროპისა და მსოფლიო მიღწევების დონეს უტოლდება, რაც მისასალმებელია. საგულისხმოა, რომ გიორგი ასანიძის გარდა, შესანიშნავი შედეგი აჩვენა უკონკურსოდ მონაწილე მცხეთელმა მძიმეწონოსანმა გიორგი კობალაძემ (მწვრთნელი ა. გახოკიძე), აკვრაში მის მიერ დაძლეული წონა — 232,5 საუკეთესოა საქართველოს ძალოსნობის ისტორიაში. ჩემპიონატში მონაწილე ძალოსანთა უმრავლესობა „შევარდენის" სპორტსკოლიდან, (დირ. დ. ხიზამბარელი) და თბილისის ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტული სკოლიდანაა (დირ. ე. ფარჯანაძე). ყველაზე მეტი ჩემპიონი (ხუთი) და პრიზიორი (ასევე — ხუთი) მწვრთნელ გ. ფარულავას აღსაზრდელი გახდა.



*ქეთევან კოპალეიშვილს წარმატებას ულოცავს მწვრთნელი გურამ ფარულავა*

***გაგაცნობთ ჩემპიონატში გამარჯვებულებს და პრიზიორებს (ორჭიდის ჯამში). 48 კგ:*** გ. სიდამონიძე — 95 კგ, დ. ოსიპოვი — 82,5, რ. დარბინიანი — 70, ***52 კგ:*** გ. ჩხუბიანაშვილი — 125, კ. გახარია — 80, მ. ადლოიანი — 70. ***56 კგ:*** ზ. ჩხუბიანაშვილი — 165, ბ. ლომიშვილი — 90, ჯ. ციხელაშვილი — 75, ***62 კგ:*** ო. კირვალიძე — 205, ა. მელაძე — 135, პ. მჭედლიშვილი — 125; ***69 კგ:*** მ. ბრეგვაძე — 287,5, ა. სანომიანი — 170, გ. ელყანიშვილი — 165; ***77 კგ:*** დ. პავლიაშვილი — 307,5, ვ. ინდორაშვილი — 245, მ. საფარაძე — 187,5; ***85 კგ:*** გ. ბაზაძე — 295, ზ. ბობოხაძე (აფხ) — 277,5, ს. არეშიძე — 217,5; ***94 კგ:*** გ. ასანიძე — 377,5, გ. მაჭავარიანი — 257,5, ნ. ხუზაურაშვილი — 195; ***105 კგ:*** ზ. ავთანდილაშვილი — 355, ბ. გოგია (აფხ) — 300, ზ. გაფრინდაშვილი — 175; ***+105 კგ:*** ა. ცერცვაძე — 325, ა. ღონღაძე — 215, დ. ნარიმანიძე — 200.

## საქართველოს ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

### (1987-89 წლებში დაბადებულთათვის)

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. 29 კგ:*** 1. გ. ხუჭუა (სამტრ.), 2. გ. გელაძე (ყაზბ., 3. ს. ბათმანაშვილი (გორი.), 4. გ. ახალაძე (ხონი.) მონაწილე — 23; ***32 კგ:*** 1. კ. მაისურაძე (გორი), 2. დ. მარიტაშვილი (გარდაბანი), 3. პ. არველაძე (სამტრ.), 4. შ. ფაჩუაშვილი (ონი) მონაწილე — 38. ***35 კგ:*** 1. დ. მარსაგიშვილი (ყაზბ.), 2. დ. გალეგაშვილი (გორი), 3, თ. ხუჭუა (სამტრ.), 4. მ. პრელმანი (ხონი) მონაწილე — 23; ***38 კგ:*** 1. მ. კვესაძე (ქუთ.), 2. ი. ნანავა (წალენჯიხა), 3. ა. არუთინიანი (გორი), 4. ბ. ბექაური („მართვე") მონაწილე — 20, ***42 კგ:*** 1. გ. მარსაგიშვილი (ყაზბ.), 2. ზ. ჯიქაძე (სამტრ.), 3. ზ. ბურჯაკიანი (ცაგერი), 4. გ. ქაქალაშვილი (ყვარ.) მონაწილე — 32; ***47 კგ:*** 1. ხ. ჰილლაძე (საჩხ), 2. ა. ჩადუნელი (კასპი), 3. ო. დადუნაშვილი („მართვე"), 4. გ. ცერცვაძე (ქუთ.) მონაწილე — 17; ***53 კგ:*** 1. ლ. ასპანაძე (რუსთ), 2. გ. ჩიქოვანი („მართვე"), 3. თ. ნაკაშიძე (აჭარა), 4. ნ. ბერიანიძე („მართვე") მონაწილე — 24; ***59 კგ:*** 1. ფ. მკერვალიშვილი (ამბრ.), 2. დ. ნამიჯეიშვილი (ქუთ.), 3. ა. მოძმანიშვილი („ლოკომ"), 4. შ. ჩიტაშვილი (კასპი) მონაწილე-19; ***66 კგ:*** 1. ხ. ყიფიანი (აჭ), 2. შ. გოგრიჭიანი (ონი), 3. ლ. ქობულაშვილი (თედიაშვილის კლუბი), 4. გ. როსტომაშვილი („შევარდ.") მონაწილე-11, ***73 კგ:*** 3. ბერიძე (ამბ), 2. ბ. ფრუიძე (თედ. კლ), 3. მ. ქოქოლაძე (აჭ), 4. დ. დანელია (რუსთ.) მონაწილე — 10; ***85 კგ:*** 1. გ. ნიკურაძე (თედ. კლ), 2. ნ. ტაბატაძე (ხარაგ.), 3. კ. გვირჯიშვილი (გარდ.), 4. პ. ცერცვაძე (ბაღდ.) მონაწილე — 4.



## ნბა

NBA

## „საკრამენტო" – „ლეიკერსი" 113:119

სტოიაკოვიჩი (26), ტურკოგლუ (22), უებერი (21+11 მოხსნა), დივაცი (18+10 მოხსნა) — ბრაიანტი (48+16 მოხსნა), ო,ნილი (25+10 მოხსნა), ფიშერი (20).

ამ მატჩში გაიბრწყინა კობი ბრაიანტმა, რომელმაც დაამყარა თავისი რეკორდი პლეი-ოფში — 48 ქულა. „საკრამენტოს" შემადგენლობაში თავი გამოიჩინეს ევროპელებმა — სტოიაკოვიჩმა, ტურკოგლუმ და დივაცმა, რომლებმაც 66 ქულას მოუყარეს თავი, მაგრამ ამ დღეს ბრაიანტის შეჩერება შეუძლებელი იყო.

ამრიგად, „ლეიკერსმა" სერიაში მშრალი ანგარიშით 4-0 დაამარცხა „საკრამენტო" და პირველი გუნდია, რომელიც გავიდა თასის ნახევარფინალში.

## „ტორონტო" – „ფილადელფია" 79:84

კარტერი (25+10 მოხსნა), დევისი (15+11 მოხსნა), უილიამსი (14), ოუკლი (11+11 მოხსნა) — აივერსონი (30), მაკკი (18), მუტომბო (13+17 მოხსნა).

როგორც გახსოვთ, ამ გუნდების წინა შეხვედრაში კარტერმა დააგროვა 50 ქულა და „ფილადელფიას" მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა მას პერსონალური დარაჯი არონ მაკი მიუჩინა. კარტერმა ამ შეხვედრაში „მხოლოდ" 25 ქულის მოპოვება შეძლო. გადამწყვეტი სამქულიანი სროლა შეხვედრის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე განახორციელა აივერსონმა, რის შემდეგაც „ფილადელფია" გავიდა წინ და მიიყვანა მატჩი გამარჯვებამდე. სერიის საერთო ანგარიშია 2-2.



## სუპერ თასი „მაკაბიმ" მოიპოვა

**თელ-ავივის „მაკაბი" გახდა სუპროლიგის გამარჯვებული. გადამწყვეტ შეხვედრაში, რომელიც გაიმართა პარიზში, ისრაელის კალათბურთელებმა სძლიეს საბერძნეთის „პანათინაიკოსს" — 81:67.**

**ამრიგად, „მაკაბიმ" რევანში აიღო შარშანდელი დამარცხებისათვის. შარშანაც ეს გუნდები გავიდნენ ფინალში და მაშინ იმარჯვეს ბერძენმა კალათბურთელებმა (73:67). „ოთხთა ფინალის" საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს „მაკაბის" მოთამაშე არიელ მაკდონალდი.**

**ჰაფმანი (21 ქულა), მაკდონალდი (21) — ბოდიროგა (27), ფოცისი (15).**

**მესამე ადგილისათვის მატჩში თურქეთის „ეფესმა" ანგარიშით 91:85 დაამარცხა მოსკოვის ცსკა.**





## პიტ სამპრასი იწყებს და... აგებს, იქნებ სრულდება კიდეც მისი ეპოქა?

**ჩოგბურთი.** გუშინ, ჰამბურგში, Mastersსერიის ტურნირის პირველ წრეშივე იწვნია მარცხი, ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ჩოგანმა ამერიკელმა პიტ სამპრასმა. ეს შეხვედრა სამპრასმა ესპანელ ალექს კალატრავთან წააგო 7:6 (7:3), 3:6, 4:6. ეს უკვე სამპრასის ზედიზედ მეორე მარცხია პირველ რაუნდში. ერთი კვირის უკან რომში წააგო. საჩოგბურთო სამყარო უკვე ეჭვობს — ხომ არ დამთავრდა სამპრასის ეპოქა?

**ჩოგბურთი.** გუშინ, რომში დასრულდა I კატეგორიის დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი მილიონ 200 ათასი დოლარია. I წრეში ლუქსემბურგელმა ანნე კრემერმა მოუგო ფრანგ ნატალია დეშს.



ანნე კრემერი

ფორმულა-1

## ავსტრიის ეტაპის შედეგი ჯერჯერობით არაოფიციალურია

დრამატულად დაიწყო ფორმულა-1-ის მეექვსე ეტაპი. ჯერ იყო, სტარტზე ოთხმა პილოტმა ვერა და ვერ დაძრა მანქანა ადგილიდან, მერე რამდენიმე მრბოლი ასპარეზობებს ტრასის სხვადასხვა მონაკვეთზე გამოეთიშა. ბოლოს ბარის გუნდმა პროტესტი შეიტანა ფინელ კიმი რაიკონენისთვის IV ადგილის მინიჭების გამო. რბოლა მოიგო დევი კულტჰარდმა. საერთო ჩათვლაში ლიდერობს მიხაელ შუმახერი.





*კიმი რაიკონენს დისკვალიფიკაცია ემუქრება*

## გამოთხოვება დიდისთან

კვირას, ბრაზილიაში, ღირსეული პატივით დაკრძალეს ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების სახელოვანი ფეხბურთელი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი დიდი. იგი 72 წლისა გარდაიცვალა.



**ჭადრაკი.** გუშინ სარაევოში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი 10 მოჭადრაკის მონაწილეობით.

**ფეხბურთი.** იტალიელი გულშემატკივრების აზრით, „ნაპოლის" ბრაზილიელი თავდამსხმელი ედმუნდო იტალიის ჩემპიონატის სერია A-ში დღეს, ყველაზე სუსტი ლეგიონერია.

**ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გუშინ გამოაქვეყნა ახალი რეიტინგი — კვლავ ლიდერობს იტალიელი ფრანჩესკო კაზაგრანდე — 2550 ქ, მეოთხედან მეორე ადგილზე გადაინაცვლა ასევე იტალიელმა დავიდე რებელონიმ — 2048, მეორე ადგილიდან ერთი საფეხურით დაქვეითდა ამერიკელი ლენს არმსტრონგი — 1997.**

# მთავარი ჯერ წინაა

**საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

**VIII ტურის მიმოხილვა**

მერვე ტურის მატჩებმა სატურნირო ვითარება მკვეთრად ვერ შეცვალა. „ტორპედომ“ „მერანს“ მოუგო და ოთხქულიანი უპირატესობა ისევ შეინარჩუნა. „დინამომ“ კი, „კოლხეთის“ დამარცხებით, ორი ქულით გაუსწრო „ლოკომოტივს“, რომელმაც „ვიტ ჯორჯიას“ ვერაფერი მოუხერხა და მხოლოდ ფრეს დასჯერდა. ტურის შედეგებიდან ჩანს, რომ სამივე მატჩი დაძაბულად წარიმართა. ძირითად კითხვაზე, თუ ვინ იქნება პირველი, ჯერ პასუხის გაცემა ნაადრევია. ფინიშამდე ორი ტურია. 19 მაისს „ტორპედო“ — „კოლხეთისა“ და თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ მატჩებში ბევრ საკითხს ნათელი მოეფინება. ამ შეხვედრების მნიშვნელობაზე ვრცელი ლაპარაკი უადგილოც კია, იმდენად გადამწყვეტია თითოეული მათგანი.

ქვედა ექვსეულის შეხვედრებში სასწაული არ მომხდარა. ფავორიტებმა მოიგეს, თანაბარძალოვან მეტოქეთა მატჩში კი ფრე აღინიშნა. აქაც მეცხრე ტურში, საყურადღებო ორი მატჩია. „გორდა“ — „დილა“ და „სიონი“ — თსუ. მოკლედ, უმთავრესი ბრძოლები კიდევ წინაა. თუმცა, შაბათ საღამოს, შეიძლება ჩემპიონის ვინაობაც შევიტყოთ და ლიგაში დამრჩენ-გავარდნილებისაც.

დღეს კი თასის ნახევარფინალებია. ჩემპიონობას დამშვიდობებულ „ლოკომოტივს“ რთული მატჩი ელის ავჭალაში თასს მოწყურებულ „მერანთან“. ქუთაისში ფინალში გასასვლელად იბრძოლებენ „ტორპედო“ და „ვიტ ჯორჯია“.


«მერანი» — «ტორპედო»

## ტექნიკური შედეგები:

**მერანი 91 (თბ.) – ტორპედო (ქუთ.) 0-1**
**მერანი:** დევაძე, ხუჯაძე, გ. ილურიძე, გუჯაბიძე, ჰინჭარაული, გოგიტაძე (ნათობიძე 64), ბოლქვაძე (ბაჯელიძე 52), ხუციშვილი, ჩხაიძე, თოლორდავა (სილაგავა 86), გ. ქადაგიძე.
**ტორპედო:** ზოიძე, მახვილაძე, ლევან სილაგაძე, ხვადაგიანი, თოდუა, დიდავა (ვაშაკიძე 88), ჭემოკლიძე, გუჩუა (ჯინჭარაძე 63), იონანიძე, დ. ჯანაშია, ბობოხიძე (გვიჯრიშვილი 63).
**გოლი:** 0-1 ბობოხიძე (47)
**მსაჯი:** დ. სანაია (სოხუმი)

**კოლხეთი 1913 – დინამო (თბ) 1-2**
**კოლხეთი:** მ. გვასალია, ქობულაძე, ნარსია, ფანჩულიძე, ვართაგავა, ტორჩინავა, ყურაშვილი, კვირკველია, შავგულიძე, მუმლაძე, ბაჩილავა.
**დინამო:** ხაჩირაშვილი, შაშიაშვილი (სვანაძე 46), კანდელაკი, მაზიაშვილი, მანწკავა, გაბიდაური, ბურდული, სახვაძე, იაგორაშვილი (აფციაური 89), ზირაქიშვილი, მიქაძე (მიკუჩაძე 83).
**გოლები:** 0-1 გაბიდაური (48), 0-2 მიქაძე (54), 1-2 შავგულიძე (67).
**გააფრთხილეს:** ფანჩულიძე (7), კანდელაკი (85)
**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი)

**საქართველოს თასი. 1/2 ფინალის საპასუხო მატჩები**
მერანი — ლოკომოტივი (0-2)
ტორპედო — ვიტ ჯორჯია (2-1)



**ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი 0-0**
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, კობიაშვილი, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, ადამია (წუწუნავა 79), ლაშა ნოზაძე, დილმელაშვილი, ყიფიანი, გოგობერიშვილი, ვ. გოჩაშვილი (დოლიძე 86), მელქაძე.
**ლოკომოტივი:** ლომაია, ონიანი, ცხადაძე, სალუქვაძე, ლაცაბიძე, გილაური, ანჩაბაძე, ჰიჭვეიშვილი, დათვაძე, გოგიჩაიშვილი, კაიდარაშვილი.
**გააფრთხილეს:** დათვაძე (87)
**მსაჯი:** კ. მესხი (ზუგდიდი)

**დინამო (ბთ) – სიონი 3-0**
**დინამო:** ჭანტურია, ი. მახარაძე, მინდაძე, პაპიძე, მჟავანაძე, ქაცარავა (ჩიჩუა 71), ღლონტი, გველესიანი (რომანაძე 80), მაჭუტაძე (ბექანიძე 86), ტუღუში, აფხაზავა.
**სიონი:** ვოლკოვი (დალაქიშვილი 46), მინდიაშვილი, სიდამონიძე, ირემაშვილი, ბარნოვი, სოლოლაშვილი, მოსეშვილი, სვანიძე, ამბიძე, ისიანი, კ. მეტრეველი (გოგოლაძე 46).
**გოლები:** 1-0 მაჭუტაძე (7), 2-0 ტუღუში (40), 3-0 მაჭუტაძე (83)
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**თსუ – გორდა 1-1**
**თსუ:** მამარდაშვილი, ხარებავა, ებრალიძე, ბერიანიძე, ჯობავა, არეშიძე, დათუნაიშვილი (ბეროშვილი 84), ზ. მეტრეველი, მერებაშვილი, მესხი, ბ. ნოზაძე.
**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბურნაძე, ბერიძე, გელაძე (ლაბაძე 70), ლაშა სილაგაძე, მელაძე (კიტეიშვილი 80), კ. ალადაშვილი, გ. მიქაძე, ჯუღელი, ა. ჯელაძე.
**გოლები:** 0-1 ჯელაძე (55), 1-1 მერებაშვილი (57)
**გააფრთხილეს:** არეშიძე (53), ჯობავა (69), მიქაძე (71).
**მსაჯი:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**იბერია – დილა 1-2**
**იბერია:** ცინაძე, შ. ლაცაბიძე (გ. ნოზაძე 78), სანიკიძე, მიქელთაძე, ლ. ხმალაძე, (ვაშაკიძე 85), ჩაჩუა, გულორდავა (ქვანია 46), თარგამაძე., კაკაშვილი, გაგუა, ჭიაბრიშვილი.
**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი (გ. ჩიტაია 68), ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, თაყაძე (ბურნაძე 78), ლომიძე, ფეზუაშვილი (საყვარელიძე 35), რევაზიშვილი, ხორგუაშვილი, ეჯოშვილი.
**გოლები:** 0-1 ეჯოშვილი (20), 1-1 კაკაშვილი (21), 1-2 ხორგუაშვილი (53)
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**I – VI ადგილები**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 8 | 5 | 2 | 1 | 10-5 | 41 |
| დინამო(თბ) | 8 | 3 | 4 | 1 | 13-8 | 37 |
| ლოკომოტივი | 8 | 1 | 4 | 3 | 6-9 | 35 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 3 | 2 | 11-8 | 31 |
| კოლხ.1913 | 8 | 2 | 1 | 5 | 9-14 | 23 |
| მერანი91 | 8 | 1 | 2 | 5 | 1-12 | 18 |

**VII – XII ადგილები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (ბთ) | 8 | 4 | 3 | 1 | 11-3 | 29 |
| სიონი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-10 | 24 |
| დილა | 8 | 4 | 1 | 3 | 15-7 | 22 |
| გორდა | 8 | 3 | 2 | 3 | 10-11 | 20 |
| თსუ | 8 | 3 | 1 | 4 | 8-15 | 20 |
| იბერია | 8 | 0 | 1 | 7 | 6-21 | 3 |

## პირველი ლიგა

**VIII ტური**

**I – VI ადგილები**

სამგურალი – გურია-ლოკ-2 3-2
შუქურა – მილანი 0-3
მეტალურგი – ცხინვალი 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 8 | 5 | 1 | 2 | 16-4 | 37 |
| სამგურალი | 8 | 4 | 3 | 1 | 11-6 | 35 |
| გურია-ლოკ2 | 8 | 4 | 2 | 2 | 11-8 | 35 |
| მეტალურგი | 8 | 3 | 2 | 3 | 8-11 | 32 |
| ცხინვალი | 8 | 1 | 3 | 4 | 5-11 | 26 |
| შუქურა | 8 | 0 | 3 | 5 | 2-13 | 23 |

**VII – XII ადგილები**

კოლხეთი (ხ) – ოკეანე 0-2
თორი – დინამო (ზ) 3-0
ივერია – თბილისი 5-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი (ხ) | 8 | 5 | 1 | 2 | 14-5 | 29 |
| თორი | 8 | 4 | 1 | 3 | 10-7 | 28 |
| ოკეანე | 8 | 4 | 3 | 1 | 11-7 | 25 |
| ივერია | 8 | 4 | 1 | 3 | 17-7 | 21 |
| თბილისი | 8 | 4 | 0 | 4 | 7-11 | 21 |
| დინამო (ზ) | 8 | 0 | 0 | 8 | 0-22 | 12 |





სურათებზე: მარცხნივ — შეტევაზეა ნუკრი კაკილაშვილი; მარჯვნივ — ზაურ სვანაძის მეორე გოლი.

# მოგონებანი გარდასულ დღეთა

**13 მაისი, 2001 წელი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი.**
**საიუბილეო საერთაშორისო ამხანაგური მატჩი**

**დინამო (თბილისი) — კარლ ცეისი (იენა) 3–1**

**დინამო:** გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.
**სათადარიგონი:** მჭედლიძე, კაკილაშვილი, კეტაშვილი, მუჯირი, ანდღულაძე, ლ. ნოდია, ო. კოროღლიძე.
**კარლ ცეისი:** ფოსტერი, ბრაუერი, ოვერმანი, შილინგი, კურბივაიტი, შნუპჰაზე, ირმშერი, ლინდემანი, ბილაუ, გიტკე, დიოშნერი.
**სათადარიგონი:** რიოსერი, ვერნერი, ვაჩერი, შტაინი, შეიტლერი.
**გოლები:** 1-0 სულაქველიძე (25), 1-1 ბილაუ (51), 2-1 სვანაძე (55), 3-1 დარასელია (63)
**გააფრთხილეს:** კეტაშვილი
**მსაჯები:** ა მილჩენკო, ო. გუნთაძე, ა დურსუნიში (ყველა — საქართველო)

ოცი წლით გაახალგაზრდავდა 13 მაისს ეროვნული სტადიონი. ქართველმა გულშემატკივარმა კვლავ თაყვანი სცა დიდ გუნდს, დიდებულ ფეხბურთელებს. თბილისის „დინამოს“ დღევანდელმა თავკაცებმა, ახალგაზრდობამ, შესანიშნავი ზეიმი უძღვნეს ღვაწლმოსილთ. თბილისს ეწვია „დინამოს“ მაშინდელი მეტოქე იენის „კარლ ცეისი“, მართალია არასრული შემადგენლობით, მაგრამ მაინც თითქმის ძირითადი გუნდით. სტუმრებს დიუსელდორფის მატჩის მონაწილეთაგან აკლდათ: რააბი, კრაუზე, ფოგელი, ვაიზე, გრაპენტინი და მთავარი მწვრთნელი ურს მაიერი. „დინამო“ კი მშობლიურ სტადიონზე უცვლელი, ზუსტად იგივე შემადგენლობით წარსდგა გულშემატკივართა წინაშე. ეგ არის, მხოლოდ, ვიტალი დარასელიას ექვსნომრიანი მაისური მისმა ვაჟმა ვიტალი უმცროსმა მოირგო და მამის მსგავსად დამაგვირგვინებელი გოლით დალაშქრა გერმანელთა კარი.

ზეიმობდა ქართული ფეხბურთი. ზეიმობდა ქართული სპორტი; მატჩამდე მრავალრიცხოვან მაყურებლებს მიესალმა ევროპის ორი ჩემპიონი ფალავანი ელდარ კურტანიძე და ძალოსანი გიორგი ასანიძე. მერე კი მინდორზე უხმეს ფეხბურთელებს. კოტე მახარაძემ ჩვეული რიხით გამოაცხადა „დინამოს“ ვეტერანთა და იმ დიდი გამარჯვების შემოქმედთა და სტუმართა შემადგენლობები. მატჩიც დაიწყო. ბურთის თამაშში შეყვანის პატივი ვიტალი დარასელია-უმცროსს და ნოდარ ახალკაცის შვილიშვილს გიორგი კალანდაძეს ერგოთ. მერე წუთიერი დუმილით ყველამ ერთად პატივი მიაგო ნოდარ ახალკაცისა და ვიტალი დარასელიას ნათელ ხსოვნას. მატჩი კი დიდებული სანახავი გამოდგა. იყო ყიჟინა, მარადიული შეძახილი დინამო! დინამო! გაიხარა სრულიად ქართველობამ, გაიხსენა და კიდევ ერთხელ იხილა დიდოსტატური ფინტები და გოლები. ზეიმი სუფევდა ჩვენს გულებში, დიდი გამარჯვებისა და დაუვიწყარი სიხარულისა. მატჩის შემდეგ ფეიერვერკმა კიდევ უფრო გაალამაზა ისედაც ლამაზი ღამე. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელებად დაასახელეს თენგიზ სულაქველიძე და ანდრეას ბილაუ. სამახსოვრო საჩუქრები მიიღო შეხვედრის ყველა მონაწილემ.

ასეთ სითბოში, ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროში ჩაიარა დიდებულმა საფეხბურთო საღამომ.

მიხეილ საბახტარიშვილი

## ფეხბურთის თემაზე მომუშავე ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

1-2 ივნისს საქართველოსა და იტალიის ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებთა მატჩებზე აკრედიტაციისთვის გთხოვთ 15 მაისამდე წერილით მიმართოთ სფფ-ს პრეს-ატაშეს მამუკა კვარაცხელიას. ტელეფონი: 25-01-16, ფაქსი: (822) 00-11-28.

## საქართველო – ირანი 1–1 (19 წლამდე ნაკრებები)

**ბოლნისი. 12 მაისი. თ. სტეფანიას სახელობის სტადიონი.**
**საქართველო:** ჰრიკიშვილი, მამფორია, გუშარაშვილი, ფეიქრიშვილი, ხარბედია (კოპალიანი 84), ბუჯიაშვილი, მანჭარაული (ლუჭაშვილი 56), ებანოიძე, ცერცვაძე (ქუხილავა 63), ქოქიაშვილი, (კუპრეიშვილი 59), ლომინაძე.
**ირანი:** გასემი, ფალაჰი, აშური, ლოფტი, ქაში, დალალელე (ოსტივანი 72), ქაზემია, მაბალი, მადანჩი, ისმაილი, ხადადი.
**გოლები:** 1-0 ქოქიაშვილი (58), 1-1 ისმაილი (72)
**გააფრთხილეს:** აშური, მამფორია, ლუჭაშვილი.
**მსაჯები:** მაისურაძე, ჯვარიძე, ურუშაძე (ყველა — საქართველო)

# პირველ მატჩში ფრე აღინიშნა

გელა გომელაურის ნაკრებმა მეორე გამოცდაც ჩააბარა. მართალია ირანელ თანატოლებთან ჩვენს ჭაბუკებს პირველი ამხანაგური მატჩი არ მოუგიათ, მაგრამ თანაბარ ბრძოლაში მოპოვებული ფრე ფორმირების პროცესში მყოფი გუნდისთვის ურიგო არ არის. ირანელი სტუმრების გუნდი კერკეტი გამოდგა და როგორც ჩანს, რაიმეს დათმობას არც დღეს, ეროვნულ სტადიონზე გასამართ მატჩში აპირებს, ადვილად წასაქცევი, არც ჩვენი ნაკრებია, ასე რომ, ფიცხელი ბრძოლა უნდა იხილოს წესით გულშემატკივარმა. ამ გუნდების მეორე მატჩი 15 საათზე დაიწყება.

## საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## რეგიონული ლიგა

### აღმოსავლეთის ზონა

*XVIII ტურის გამოტოვებული მატჩი*
სამგორი — აკადემია 1-4

**XX ტური**
სამგორი — კავკასიონი 0-0
ალაზანი — ცხუმი 3-1
ასკ — ლოკომოტივი3 1-1
ჭაბუკიანი — თბილისი 2 3-0 (თბილისი 2 მოხსნილია გათამაშებიდან)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ლოკომოტ.3** | 19 | 14 | 4 | 1 | 47-13 | 46 |
| **შსს აკადემია** | 18 | 14 | 3 | 1 | 38-11 | 45 |
| **ჭაბუკიანი** | 18 | 13 | 3 | 2 | 45-12 | 42 |
| **ალაზანი** | 19 | 10 | 2 | 7 | 36-25 | 32 |
| **ხალიბი** | 17 | 8 | 4 | 5 | 29-21 | 28 |
| **ცხუმი** | 18 | 8 | 4 | 6 | 21-16 | 28 |
| **ზოოვეტი** | 17 | 6 | 2 | 9 | 23-21 | 20 |
| **თბილისი2** | 18 | 4 | 2 | 12 | 18-41 | 14 |
| **ასკ** | 18 | 3 | 1 | 14 | 22-44 | 10 |
| **სამგორი** | 18 | 2 | 3 | 13 | 14-52 | 9 |
| **კავკასიონი** | 18 | 2 | 2 | 14 | 15-57 | 8 |



### ცენტრალური ზონა

**XX ტური**
მესხეთი — დინამო2 0-4
ვალენსია — საბურთალო (ორივე გუნდი მოხსნილია გათამაშებიდან)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დინამო2** | 9 | 4 | 2 | 3 | 52-12 | 44 |
| **ამირანი** | 17 | 13 | 1 | 3 | 34-15 | 40 |
| **ვიტ-ჯორჯია2** | 17 | 10 | 4 | 3 | 39-14 | 34 |
| **იბერია** | 17 | 7 | 8 | 2 | 36-15 | 29 |
| **ოლიმპიკი** | 17 | 9 | 0 | 8 | 29-16 | 27 |
| **მესხეთი** | 18 | 7 | 3 | 8 | 18-28 | 24 |
| **მრეტები** | 18 | 5 | 5 | 8 | 16-23 | 20 |
| **დილა2** | 18 | 5 | 4 | 9 | 22-35 | 19 |
| **ვარძია** | 17 | 4 | 4 | 9 | 14-26 | 16 |
| **ვალენსია** | 18 | 4 | 3 | 11 | 16-39 | 15 |
| **საბურთალო** | 18 | 0 | 2 | 16 | 4-63 | 2 |

### დასავლეთის ზონა

**XX ტური**
მერცხალი — გურია 2-0
კოლხეთი2 — დინამო2 (ბთ) 1-0
ლაზიკა — სალხინო 3-0
სამეგრელო — ინტერი 3-3
სქური — სულორი 4-1
დინამო (სოხ) — მზიური3-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ლაზიკა** | 20 | 16 | 2 | 2 | 66-28 | 50 |
| **მზიური** | 20 | 14 | 3 | 3 | 50-22 | 45 |
| **სქური** | 20 | 13 | 3 | 4 | 46-19 | 42 |
| **კოლხეთი2** | 20 | 11 | 5 | 4 | 30-14 | 38 |
| **ინტერი** | 20 | 9 | 6 | 5 | 41-20 | 33 |
| **დინამო (სხ)** | 20 | 7 | 5 | 8 | 31-28 | 26 |
| **დინამო2 (ბთ)** | 20 | 7 | 5 | 8 | 26-25 | 26 |
| **სამეგრელო** | 20 | 5 | 5 | 10 | 22-38 | 20 |
| **სულორი** | 20 | 5 | 2 | 13 | 23-60 | 17 |
| **გურია2** | 20 | 3 | 3 | 14 | 29-60 | 12 |
| **სალხინო** | 20 | 1 | 4 | 15 | 14-52 | 7 |

(სალხინო მოხსნილია გათამაშებიდან)

## თბილისს კიდევ ერთი სპორტული კომპლექსი შეემატება

ქალაქის მერის ვანო ზოდელავას მშენებლობაზე გამოჩენა აღარავის აკვირვებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ვიზიტები მეტწილად, ასე ვთქვათ, „სამოქალაქო ობიექტებზე“ მოდის. აი, წმინდა სპორტული პროფილის მშენებლობებზე მისი გამოჩენა კი, იშვიათობას წარმოადგენს, იმიტომ, რომ ჩვენში თვით ასეთი ხასიათის მშენებლობაა იშვიათი და შემთხვევითი, მაგრამ თუ მსგავსი რამ ქალაქში გაჩნდა, იგი უმალვე ბატონ ვანოს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდება და მას მზრუნველობასა და დახმარებას არ აკლებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ სიახლე ქალაქის მერიისა და საკრებულოდანაც მოდის. მაგალითად: ბოლო ხანს დედაქალაქში გაჩნდა რამდენიმე მინისტადიონი, 50-მდე სპორტული მოედანი მოეწყო საცხოვრებელ ადგილებში.

რაც შეეხება მინიფეხბურთის სპეციალიზებული სკოლის შექმნას, იგი პირადად მერის თაოსნობის შედეგი გახლავთ, ეს სკოლა დღეს მერიის, სპორტის, სკოლის გარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის სამსახურის შენობაშია, მაგრამ სულ მალე ბინას დაიდებს თანამედროვე მინისტადიონზე, რომელიც მუშტაიდის პარკის ტერიტორიაზე შენდება.

სწორედ მომავალი სტადიონის მშენებლობას ეწვია ვ. ზოდელავა მერიისა და საქალაქო საკრებულოს მუშაკებთან ერთად. ქალაქის თავი გაეცნო მშენებლობის მიმდინარეობას, დაინტერესდა მისი პრობლემებით.

— მინისტადიონი მერიისა და ჩვენი სამსახურის სახსრებით შენდება, სამუშაოებს „ინჟმშენი“ ასრულებს, რომლის გენერალური დირექტორი ნიკო შარაბიძე უდიდეს ყურადღებას უთმობს ამ ობიექტს და იგი მაისის ბოლოს უნდა ჩადგეს მწყობრში, — თქვა მერიის ზემოხსენებული საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვლადიმერ კანკავამ.

უნიკალურ სპორტულ კომპლექსს სინთეტიკურსაფარიანი ფეხბურთის მინდორთან ერთად, ექნება პატარა აუზი, საუნა, სატრენაჟორო დარბაზი. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც თანამედროვე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის განკარგულებაში უნდა იყოს.

## ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონს გულია თუთბერიძის სახელი ეწოდა

გულია თუთბერიძე ზუგდიდის „დინამოს“ ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო. ჩინებულ სპორტსმენს და პიროვნებას ბევრი სასიკეთო და სამაგალითო საქმე უკეთებია ზუგდიდური ფეხბურთის წარმოჩენისათვის. ფეხბურთელობისას იგი საუკეთესო „პენალტისტი“ იყო. თითქმის ოცწლიან საფეხბურთო კარიერაში (40-60 წლებში) გულია თუთბერიძე სამი გუნდის ღირსებას იცავდა. ერთი ხანობა თბილისის „დინამოში“ იყო, მერე სოხუმის „დინამოში“, კარიერა კი ზუგდიდის „დინამოში“ დაასრულა 1963 წელს. მისი სახელის უკვდავსაყოფად, ზუგდიდის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ქალაქის ცენტრალური სტადიონი გულია თუთბერიძის სახელობისა გახდა.

**15-26 მაისს სპორტკომპლექსი „ქარიშხალა“ (უნივერსიტეტის, 6) უმასპინძლებს საქართველოს დამოუკიდებლობის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ ტურნირს მინიფეხბურთში სამინისტროებისა და უწყებების თანამშრომელთა გუნდების მონაწილეობით. დახაწყისი 13 საათიდან.**
***ორგანიზატორები:* სპორტსაზოგადოება „შევარდენი“, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი დ: გაზეთი„ ლელო“.**
**სპონსორი: საქართველოს თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი.**

## ბავშვთა ფეხბურთი

### დამთავრდა ერთი, იწყება მეორე ტურნირი

ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, თბილისის კლუბ „არგოს“ და ისან-სამგორის საფეხბურთო კავშირის თაოსნობით (ინიციატორი ლ. პაჭკორია) ჩატარდა ფეხბურთელთა ტურნირი 1989-90 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა 10 გუნდის მონაწილეობით. ნახევარფინალში დაწყვილდნენ „არგო“ — „ვაზისუბანი“ და „ლომები“ — „იბერია“. ფინალში იმარჯვა „ვაზისუბანმა“ (მწვრთნელი ს. კამბეგაშვილი), მეორე ადგილზე გავიდა „ლომები“ (35-ე საფეხ. სკოლა, მწვრთნელი ზ. ურდულაშვილი), მესამეზე — „არგო“ (მწვრთნელი ლ. პაჭკორია). საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს გიორგი ჯინიკაშვილი („ვაზისუბანი“), ბომბარდირი — ლაშა მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი („ლომები“), პერსპექტიულ ფეხბურთელად — დიმიტრი ?აგრამოვი („არგო“).

ტურნირის დამთავრებისთანავე მოეწყო კენჭისყრა — იწყება რესპუბლიკური ტურნირი 1987-88 წლებში დაბადებულ ჭაბუკთათვის, რომლის ორგანიზატორები არიან ისან-სამგორის საფეხბურთო კავშირი, კლუბი „ლომები“ და „ბერმუხა“. ტურნირი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე თბილისის „დინამოს“ გამარჯვების 20 წლისთავს ეძღვნება.

*რობერტ ბაგოიანის ფოტოები.*



*«ვაზისუბანი». I ადგილი*



*35-Ე საფეხბურთო სკოლა. II ადგილი*



*«არგო». III ადგილი*

## 35-ე სკოლა ავტორიტეტს ინარჩუნებს

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდის (მწვრთნელი ს. მუხიგულაშვილი) თაოსნობით ჩატარდა 1990-91 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირი, რომელშიაც 10 გუნდი, მათ შორის 2 ერევნიდან მონაწილეობდა. 5-5 გუნდად დაყოფილ 2 ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გასულები ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს, მეორეადგილოსნებმა კი III საპრიზო ადგილი გაითამაშეს.

ტურნირი დამსახურებულად მოიგო 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდმა (მწვრთნელები თ. ლორთქიფანიძე, ზ. თარაშვილი და ბ. ტეხაშვილი), მეორე ადგილზე გავიდა ერევნის პირველი გუნდი, რომელიც პენალტების სერიით დამარცხდა თბილისელ თანატოლებთან (ძირითადი დრო 1-1). მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „მერანმა“ 3-0 მოუგო „მართვეს“.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი გადაეცა გუგა ჯულუხაძეს, საუკეთესო მეკარედ დასახელდა გიგა ჭელაძე (ორივე საფ. სკ. I გუნდი).



*სურათზე: 35-ე საფ. სკოლის I გუნდი. — I რიგში მარცხნიდან: ვალერი — ქრელაშვილი, თორნიკე ჯეიშვილი, მერაბ ლირსიაშვილი, გიგა ჭელაძე, ირაკლი გონაძე, გიორგი ლუკავა, ვახტანგ დეისაძე; დგანან: ბექა ტეხაშვილი (მწვრთნელი), ლაშა ფანჯავიძე, ზურაბ თარაშვილი, ჯაბა მეცხვარიშვილი, გუგა ჯულუხიძე, თემურ ლორთქიფანიძე (მწვრთ), გიორგი ჭილაია, ვალერი ჯელაძე, გიორგი ქკუასელი, ზურაბ თარაშვილი (მწვრთ).*

*რობერტ ბაგოიანის ფოტო*

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. XXXIV ტური

| | |
|---|---|
| დეპორტივო – ალავესი | 2-1 |
| ვილიარეალი – სოსიედადი | 1-3 |
| მალაგა – ვალენსია | 3-0 |
| ბილბაო – ვალიადოლიდი | 1-1 |
| მალიორკა – სელტა | 2-0 |
| ნუმანსია – ოსასუნა | 1-0 |
| ბარსელონა – რაიო | 5-1 |
| ლას პალმასი – სარაგოსა | 2-1 |
| რეალი – ესპანიოლი | 2-2 |
| რასინგი – ოვიედო | 2-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 34 | 21 | 7 | 6 | 72-38 | 70 |
| დეპორტივო | 34 | 19 | 7 | 8 | 64-40 | 64 |
| ვალენსია | 34 | 17 | 8 | 9 | 51-29 | 59 |
| მალიორკა | 34 | 16 | 11 | 7 | 48-39 | 59 |
| ბარსელონა | 34 | 15 | 11 | 8 | 77-52 | 56 |
| სელტა | 34 | 14 | 9 | 11 | 47-47 | 51 |
| მალაგა | 34 | 14 | 8 | 12 | 55-51 | 50 |
| ვილიარეალი | 34 | 14 | 8 | 12 | 52-51 | 50 |
| ალავესი | 34 | 14 | 7 | 13 | 55-47 | 49 |
| ესპანიოლი | 34 | 13 | 8 | 13 | 42-35 | 47 |
| ბილბაო | 34 | 11 | 10 | 13 | 42-50 | 43 |
| ლას პალმასი | 34 | 12 | 6 | 16 | 36-55 | 42 |
| რაიო | 34 | 9 | 13 | 12 | 54-61 | 40 |
| სარაგოსა | 34 | 9 | 12 | 13 | 52-54 | 39 |
| ვალიადოლ. | 34 | 8 | 13 | 13 | 36-44 | 37 |
| ოვიედო | 34 | 10 | 7 | 17 | 45-59 | 37 |
| სოსიედადი | 34 | 9 | 9 | 16 | 44-65 | 36 |
| ოსასუნა | 34 | 8 | 11 | 15 | 38-49 | 35 |
| რასინგი | 34 | 9 | 7 | 18 | 42-58 | 34 |
| ნუმანსია | 34 | 8 | 8 | 18 | 34-59 | 32 |

## ინგლისი
### პრემიერლიგა. XXXVII ტური

*გადადებული მატჩები*

| | |
|---|---|
| საუთჰემპტ. – მანჩესტერ იუნ. | 2-1 |
| ლიდსი – ბრედფორდი | 6-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტ იუნ. | 37 | 24 | 8 | 5 | 78-28 | 80 |
| არსენალი | 36 | 20 | 9 | 7 | 61-35 | 69 |
| ლივერპული | 37 | 19 | 9 | 9 | 67-39 | 66 |
| ლიდსი | 37 | 19 | 8 | 10 | 61-42 | 65 |
| იფსვიჩი | 37 | 20 | 5 | 12 | 56-41 | 65 |
| ჩელსი | 37 | 16 | 10 | 11 | 66-44 | 58 |
| სანდერლენ. | 37 | 15 | 11 | 11 | 44-39 | 56 |
| ასტონ ვილა | 37 | 13 | 15 | 9 | 46-40 | 54 |
| ჩარლტონი | 37 | 14 | 10 | 13 | 50-53 | 52 |
| საუთჰემპტონი | 37 | 13 | 10 | 14 | 37-46 | 49 |
| ლესტერი | 37 | 14 | 6 | 17 | 38-48 | 48 |
| ნიუკასლი | 36 | 13 | 8 | 15 | 41-50 | 47 |
| ტოტენჰემი | 37 | 12 | 10 | 15 | 44-53 | 46 |
| ვესტ ჰემი | 37 | 10 | 12 | 15 | 44-48 | 42 |
| ევერტონი | 37 | 11 | 8 | 18 | 43-57 | 41 |
| დერბი | 37 | 10 | 11 | 16 | 36-58 | 41 |
| მიდლსბრო | 37 | 8 | 15 | 14 | 42-43 | 39 |
| მანჩესტ.სიტი | 37 | 8 | 10 | 19 | 40-63 | 34 |
| ქოვენთრი | 37 | 8 | 9 | 20 | 36-63 | 33 |
| ბრედფორდი | 37 | 5 | 10 | 22 | 30-70 | 25 |

## პორტუგალია
### I ლიგა. XXXII ტური

| | |
|---|---|
| სპორტინგი – ფერეირა | 1-3 |
| პორტუ – ლეირია | 3-0 |
| ფარენსე – მარიტიმუ | 1-2 |
| გიმარაეში – კამპომაიორ. | 3-0 |
| ალვერკა – ბელენენსეში | 0-3 |
| ავეში – ამადორა | 3-2 |
| ბეირა მარი – ბრაგა | 3-0 |
| ჟილ ვისენტე – ბენფიკა | 3-0 |
| სალგეირუში – ბოავიშტა | 1-5 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 32 | 22 | 8 | 2 | 60-18 | 74 |
| პორტუ | 32 | 22 | 4 | 6 | 66-25 | 70 |
| სპორტინგი | 32 | 18 | 5 | 9 | 55-36 | 59 |
| ბრაგა | 32 | 16 | 9 | 7 | 55-42 | 57 |
| ბენფიკა | 32 | 15 | 7 | 10 | 49-39 | 52 |
| ბელენენსეში | 32 | 14 | 10 | 8 | 42-31 | 52 |
| ლეირია | 32 | 13 | 11 | 8 | 40-38 | 50 |
| ბეირა მარი | 32 | 14 | 6 | 12 | 42-45 | 48 |
| ფერეირა | 32 | 12 | 11 | 8 | 44-34 | 47 |
| მარიტიმუ | 32 | 11 | 7 | 14 | 33-36 | 40 |
| ალვერკა | 32 | 11 | 6 | 15 | 41-49 | 39 |
| სალგეირუში | 32 | 12 | 3 | 17 | 38-54 | 39 |
| ფარენსე | 32 | 9 | 9 | 14 | 36-46 | 36 |
| გიმარაეში | 32 | 8 | 9 | 15 | 40-48 | 33 |
| ჟილვისენტე | 32 | 8 | 7 | 17 | 28-39 | 31 |
| კამპომაიორ. | 32 | 6 | 11 | 15 | 27-56 | 29 |
| ავეში | 32 | 4 | 9 | 19 | 27-61 | 21 |
| ამადორა | 32 | 4 | 6 | 22 | 25-51 | 18 |

## შვეიცარია
### „ა“ ჯგუფი. XI ტური

| | |
|---|---|
| გრასჰოპერი – ციურიხი | 4-2 |
| ლოზანა – სტ. გალენი | 2-0 |
| სერვეტი – სიონი | 2-2 |
| ლუგანო – ბაზელი | 1-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერსი | 11 | 6 | 3 | 2 | 19-11 | 39 |
| სტ. გალენი | 11 | 6 | 1 | 4 | 20-18 | 39 |
| ლუგანო | 11 | 3 | 5 | 3 | 17-15 | 35 |
| ბაზელი | 11 | 4 | 5 | 2 | 13-11 | 34 |
| სერვეტი | 11 | 4 | 3 | 4 | 21-16 | 32 |
| ლოზანა | 11 | 3 | 2 | 6 | 12-24 | 29 |
| ციურიხი | 11 | 3 | 3 | 5 | 10-12 | 28 |
| სიონი | 11 | 2 | 4 | 5 | 13-18 | 26 |

## იტალია
### სერია A. XXX ტური

| | |
|---|---|
| ფიორენტინა – იუვენტუსი | 1-3 |
| ინტერი – მილანი | 0-6 |
| ბარი – ვიჩენცა | 2-2 |
| ბრეშა – ბოლონია | 0-0 |
| ნაპოლი – ლაციო | 2-4 |
| რეჯინა – პარმა | 2-0 |
| რომა – ატალანტა | 1-0 |
| უდინეზე – პერუჯა | 3-3 |
| ვერონა – ლეჩე | 0-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 30 | 20 | 7 | 3 | 58-28 | 67 |
| ლაციო | 30 | 19 | 5 | 6 | 57-32 | 62 |
| იუვენტუსი | 30 | 17 | 10 | 3 | 51-25 | 61 |
| პარმა | 30 | 14 | 8 | 7 | 44-24 | 50 |
| მილანი | 30 | 12 | 11 | 7 | 52-40 | 47 |
| ინტერი | 30 | 12 | 8 | 10 | 41-41 | 44 |
| ატალანტა | 30 | 10 | 12 | 8 | 35-29 | 42 |
| ბოლონია | 30 | 11 | 9 | 10 | 41-40 | 42 |
| პერუჯა | 30 | 10 | 10 | 10 | 45-47 | 40 |
| ფიორენტინა | 30 | 9 | 12 | 9 | 49-45 | 39 |
| ბრეშა | 30 | 8 | 12 | 10 | 36-37 | 36 |
| უდინეზე | 30 | 10 | 4 | 16 | 45-53 | 34 |
| ვიჩენცა | 30 | 8 | 8 | 14 | 33-44 | 32 |
| ლეჩე | 30 | 7 | 11 | 12 | 35-49 | 32 |
| რეჯინა | 30 | 8 | 5 | 17 | 27-46 | 29 |
| ნაპოლი | 30 | 6 | 10 | 14 | 29-48 | 28 |
| ვერონა | 30 | 7 | 7 | 16 | 31-51 | 28 |
| ბარი | 30 | 5 | 5 | 20 | 28-58 | 20 |

## ინგლისი
### თასის ფინალი

| | |
|---|---|
| არსენალი – ლივერპული | 1-2 |



## შოტლანდია
### XXXVII ტური

| | |
|---|---|
| დანფერმლაინი – მოზერუელი | 1-2 |
| სტ. ჯონსტონი – დანდი იუნ. | 2-3 |
| სტ. მირენი – აბერდინი | 2-1 |
| რეინჯერსი – კილმარნოკი | 5-1 |
| სელტიკი – დანდი | 0-2 |
| ჰიბერნიანი – ჰარტსი | 0-0 |

*I-VI ადგილისათვის*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 37 | 31 | 4 | 2 | 90-28 | 97 |
| რეინჯერსი | 37 | 25 | 4 | 8 | 72-36 | 79 |
| ჰიბერნიანი | 37 | 18 | 12 | 7 | 57-31 | 66 |
| კილმარნოკი | 37 | 14 | 9 | 14 | 43-53 | 51 |
| ჰარტსი | 37 | 13 | 10 | 14 | 54-50 | 49 |
| დანდი | 37 | 13 | 8 | 16 | 51-47 | 47 |

*VII — XII ადგილისათვის*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აბერდინი | 37 | 11 | 12 | 14 | 44-50 | 45 |
| მოზერუელი | 37 | 12 | 6 | 19 | 39-53 | 42 |
| დანფერმლ. | 37 | 11 | 8 | 18 | 34-54 | 41 |
| სტ.ჯონსტონი | 37 | 9 | 12 | 16 | 40-56 | 39 |
| დანდი იუნ. | 37 | 8 | 8 | 21 | 36-62 | 32 |
| სტ. მირენი | 37 | 8 | 5 | 24 | 29-69 | 29 |

## ნორვეგია
### VI ტური

| | |
|---|---|
| ოდ გრენლანდი – ბრანი | 2-2 |
| ბრინი – რუსენბორგი | 1-2 |
| ლილესტრ. – ბოდო გლიმ. | 1-0 |
| ლინი – სტაბეკი | 1-1 |
| სოგნდალი – ვიკინგი | 0-1 |
| ტრომსიო – მოსი | 0-1 |
| სტრომგოდს. – მიოლდე | 1-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიკინგი | 6 | 5 | 1 | 0 | 16-6 | 16 |
| რუსენბორგი | 6 | 5 | 0 | 1 | 17-6 | 15 |
| ლილესტრი. | 6 | 4 | 1 | 1 | 10-7 | 13 |
| მიოლდე | 6 | 3 | 2 | 1 | 14-5 | 11 |
| ოდ გრენლან. | 6 | 3 | 2 | 1 | 12-6 | 11 |
| ბრანი | 6 | 3 | 1 | 2 | 14-11 | 10 |
| სტაბეკი | 6 | 3 | 1 | 2 | 7-5 | 10 |
| მოსი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-8 | 7 |
| ტრომსო | 6 | 2 | 0 | 4 | 5-10 | 6 |
| სოგნდალი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-10 | 6 |
| ლინი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-9 | 5 |
| ბრინი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-14 | 4 |
| სტრომგოდს. | 6 | 0 | 3 | 3 | 7-16 | 3 |
| ბოდო გლიმ. | 6 | 0 | 1 | 5 | 4-14 | 1 |

## საფრანგეთი
### პირველი დივიზიონი. XXXIII ტური

| | |
|---|---|
| გენგამი – ტრუა | 1-1 |
| ლიონი – სტრასბური | 5-0 |
| ნანტი – სტ. ეტიენი | 1-0 |
| ბორდო – სედანი | 2-2 |
| ოსერი – რენი | 0-1 |
| ტულუზი – მეცი | 2-1 |
| პსჟ – ლილი | 2-2 |
| მონაკო – ლანსი | 0-0 |
| მარსელი – ბასტია | 2-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 33 | 20 | 5 | 8 | 54-35 | 65 |
| ლიონი | 33 | 16 | 13 | 4 | 53-27 | 61 |
| ბორდო | 33 | 15 | 12 | 6 | 48-31 | 57 |
| ლილი | 33 | 15 | 11 | 7 | 41-26 | 56 |
| სედანი | 33 | 13 | 10 | 10 | 46-40 | 49 |
| რენი | 33 | 14 | 6 | 13 | 43-35 | 48 |
| ტრუა | 33 | 11 | 12 | 10 | 44-46 | 45 |
| მონაკო | 33 | 12 | 7 | 14 | 52-48 | 43 |
| გენგამი | 33 | 11 | 10 | 12 | 38-46 | 43 |
| ბასტია | 33 | 12 | 6 | 15 | 40-40 | 42 |
| პსჟ | 33 | 11 | 8 | 14 | 42-44 | 41 |
| ოსერი | 33 | 11 | 8 | 14 | 31-40 | 41 |
| ლანსი | 33 | 9 | 13 | 11 | 36-35 | 40 |
| მეცი | 33 | 10 | 10 | 13 | 35-44 | 40 |
| მარსელი | 33 | 11 | 6 | 16 | 30-39 | 39 |
| ტულუზი | 33 | 8 | 10 | 15 | 33-45 | 34 |
| სტ. ეტიენი | 33 | 9 | 9 | 15 | 41-54 | 29 |
| სტრასბური | 33 | 7 | 8 | 18 | 27-59 | 29 |

*სტ. ეტიენს დაკლებული აქვს 7 ქულა.*

## პოლონეთი
### XXVI ტური

| | |
|---|---|
| სტომილი – რაძიონკოვი | 1-0 |
| რუხი – ვისლა | 2-1 |
| პოლონია – გროცლინი | 1-1 |
| ამიცა – პლოცკი | 2-0 |
| ოდრა – ვიძევი | 2-2 |
| პოგონი – გურნიკი | 2-1 |
| შლიონსკი – ლეგია | 1-1 |
| კატოვიცე – ზაგლებე | 0-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 26 | 17 | 5 | 4 | 59-22 | 56 |
| ლეგია | 26 | 13 | 8 | 5 | 41-23 | 47 |
| პოგონი | 26 | 14 | 5 | 7 | 37-24 | 47 |
| პოლონია | 26 | 12 | 6 | 8 | 33-23 | 42 |
| ზაგლებე | 26 | 12 | 4 | 10 | 38-32 | 40 |
| ამიცა | 25 | 11 | 5 | 9 | 41-36 | 38 |
| რუხი | 26 | 11 | 5 | 10 | 42-40 | 38 |
| კატოვიცე | 26 | 8 | 12 | 6 | 25-20 | 36 |
| გროცლინი | 26 | 8 | 9 | 9 | 29-31 | 33 |
| ვიძევი | 26 | 9 | 6 | 11 | 33-39 | 33 |
| სტომილი | 26 | 9 | 4 | 13 | 21-37 | 31 |
| რაძიონკოვი | 26 | 9 | 3 | 14 | 23-40 | 30 |
| ოდრა | 26 | 7 | 8 | 11 | 30-43 | 29 |
| შლიონსკი | 26 | 7 | 7 | 12 | 26-35 | 28 |
| გურნიკი | 25 | 6 | 5 | 14 | 22-33 | 23 |
| პლოცკი | 26 | 6 | 4 | 16 | 27-49 | 22 |

## ბელგია
### I დივიზიონი. XXXIII ტური

| | |
|---|---|
| მუსკრონი – სტანდარდი | 1-1 |
| გენტი – ლუვიე | 2-2 |
| გენკი – ბეერსხოტი | 2-0 |
| ანდერლეხტი – მეხელენი | 1-0 |
| შარლერუა – სტ. ტრუიდენი | 1-7 |
| ბევერენი – ვესტერლო | 1-4 |
| ლიერსი – ბრიუგე | 0-2 |
| ანტვერპენი – აალსტი | 0-0 |
| ლოკერენი – ჰარელბეკე | 3-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 33 | 24 | 8 | 1 | 83-24 | 80 |
| ბრიუგე | 33 | 22 | 9 | 2 | 77-24 | 75 |
| სტანდარდი | 33 | 16 | 12 | 5 | 71-39 | 60 |
| ბეერსხოტი | 33 | 17 | 3 | 13 | 61-50 | 54 |
| ლოკერენი | 33 | 15 | 9 | 9 | 52-41 | 54 |
| გენტი | 33 | 15 | 9 | 9 | 58-48 | 54 |
| ვესტერლო | 33 | 15 | 8 | 10 | 61-52 | 53 |
| მუსკრონი | 33 | 14 | 8 | 11 | 60-48 | 50 |
| შარლერუა | 33 | 13 | 5 | 15 | 50-64 | 44 |
| გენკი | 33 | 11 | 9 | 13 | 45-45 | 42 |
| ლიერსი | 33 | 12 | 6 | 15 | 43-50 | 42 |
| ანტვერპენი | 33 | 11 | 6 | 16 | 37-44 | 39 |
| ბევერენი | 33 | 9 | 8 | 16 | 28-61 | 35 |
| სტ.ტრუიდ. | 33 | 9 | 7 | 17 | 42-53 | 34 |
| ლუვიე | 33 | 6 | 12 | 15 | 31-53 | 30 |
| აალსტი | 33 | 7 | 8 | 18 | 32-60 | 29 |
| ჰარელბეკე | 33 | 7 | 4 | 22 | 33-75 | 25 |
| მეხელენი | 33 | 4 | 9 | 20 | 38-71 | 21 |

## ავსტრია
### XXXIV ტური

| | |
|---|---|
| ადმირა – რაპიდი | 0-2 |
| აუსტრია – ბრეგენცი | 1-1 |
| ზალცბურგი – რიდი | 4-3 |
| შტურმი – გრაცერი | 0-1 |
| ლინცერი – ტიროლი | 1-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 34 | 18 | 8 | 8 | 59-31 | 62 |
| რაპიდი | 34 | 16 | 10 | 8 | 61-35 | 58 |
| შტურმი | 34 | 16 | 6 | 12 | 57-41 | 54 |
| გრაცერი | 34 | 14 | 9 | 11 | 45-39 | 51 |
| აუსტრია | 34 | 14 | 8 | 12 | 47-39 | 50 |
| ზალცბურგი | 34 | 13 | 9 | 12 | 48-43 | 48 |
| რიდი | 34 | 12 | 8 | 14 | 50-52 | 44 |
| ბრეგენცი | 34 | 10 | 7 | 17 | 40-62 | 37 |
| ადმირა | 34 | 8 | 10 | 16 | 29-63 | 34 |
| ლინცერი | 34 | 7 | 9 | 18 | 38-69 | 30 |

## ჰოლანდია
### I დივიზიონი. XXXII ტური

| | |
|---|---|
| როზენდალი – პსვ | 1-2 |
| სიტარდი – ტვენტე | 0-2 |
| ტილბურგი – გრონინგენი | 3-0 |
| ჰერენვენი – ვიტესი | 0-0 |
| გრააფსხაპი – ვალვაიკი | 0-1 |
| აიაქსი – ფეიენოორდი | 3-4 |
| სპარტა – ალკმაარი | 0-3 |
| უტრეხტი – როდა | 3-0 |
| ნაიმეგენი – ბრედა | 0-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 32 | 23 | 8 | 1 | 66-19 | 77 |
| ფეიენოორდი | 32 | 20 | 2 | 10 | 64-35 | 62 |
| როდა | 32 | 16 | 8 | 8 | 53-37 | 56 |
| აიაქსი | 31 | 16 | 7 | 8 | 76-39 | 55 |
| უტრეხტი | 32 | 16 | 7 | 9 | 50-41 | 55 |
| ვალვაიკი | 32 | 14 | 11 | 7 | 43-33 | 53 |
| ვიტესი | 31 | 14 | 10 | 7 | 49-40 | 52 |
| ტილბურგი | 32 | 13 | 9 | 10 | 56-46 | 48 |
| ჰერენვენი | 32 | 11 | 12 | 9 | 48-39 | 45 |
| ბრედა | 32 | 12 | 9 | 11 | 38-39 | 45 |
| ნაიმეგენი | 32 | 9 | 13 | 10 | 39-45 | 40 |
| ტვენტე | 32 | 10 | 10 | 12 | 45-56 | 40 |
| გრონინგენი | 32 | 8 | 10 | 14 | 35-48 | 34 |
| ალკმაარი | 32 | 9 | 7 | 16 | 42-56 | 34 |
| გრააფსხაპი | 32 | 9 | 3 | 20 | 41-62 | 30 |
| სიტარდი | 32 | 7 | 7 | 18 | 27-60 | 28 |
| სპარტა | 32 | 6 | 6 | 20 | 40-68 | 24 |
| როზენდალი | 32 | 4 | 2 | 26 | 37-86 | 14 |

## რუსეთი
### IX ტური

| | |
|---|---|
| სატურნი – როსტსელმაში | 0-1 |
| ფაკელი – როტორი | 3-1 |
| დინამო – სპარტაკი | 1-1 |
| კრ.სოვეტოვი – ჩერნომორ. | 0-0 |
| ტორპედო – სოკოლი | 6-2 |
| ალანია – ზენიტი | 2-0 |
| ანჟი – ლოკომოტივი | 1-0 |
| ტორპედო ზილი – ცსკა | 0-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრ.სოვეტოვი | 9 | 6 | 2 | 1 | 11-2 | 20 |
| სოკოლი | 9 | 6 | 2 | 1 | 12-10 | 20 |
| სპარტაკი | 9 | 5 | 3 | 1 | 10-6 | 18 |
| ზენიტი | 9 | 5 | 1 | 3 | 11-10 | 16 |
| ტორპედო | 9 | 4 | 3 | 2 | 15-10 | 15 |
| ლოკომოტ. | 9 | 4 | 3 | 2 | 9-6 | 15 |
| ცსკა | 9 | 4 | 1 | 4 | 8-8 | 13 |
| ანჟი | 9 | 3 | 3 | 3 | 6-6 | 12 |
| სატურნი | 9 | 3 | 2 | 4 | 10-7 | 11 |
| როტორი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-9 | 11 |
| ალანია | 9 | 3 | 0 | 6 | 6-12 | 9 |
| ჩერნომორ. | 9 | 2 | 3 | 4 | 6-12 | 9 |
| ტორპედო ზ. | 9 | 2 | 2 | 5 | 7-11 | 8 |
| როსტსელმ. | 9 | 2 | 2 | 5 | 5-9 | 8 |
| დინამო | 9 | 1 | 4 | 4 | 8-10 | 7 |
| ფაკელი | 9 | 2 | 1 | 6 | 8-13 | 7 |

## შვედეთი
### VI ტური

| | |
|---|---|
| სუნდსვალი – ტრელებორგი | 0-1 |
| ჰალმსტადი – ჰელსინგბორგი | 2-2 |
| იორგრიტე – ნორჩეპინგი | 1-2 |
| ელფსბორგი – ჰამარბი | (14.05) |
| მალმიო – გიოტებორგი | (14.05) |
| იორებრო – ჰეკენი | (14.05) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 4 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| მალმიო | 5 | 3 | 1 | 1 | 9-2 | 10 |
| ჰამარბი | 5 | 2 | 3 | 0 | 8-4 | 9 |
| იორგრიტე | 6 | 2 | 3 | 1 | 10-7 | 9 |
| ჰალმსტადი | 6 | 2 | 2 | 2 | 12-7 | 8 |
| ჰელსინგბორ. | 6 | 2 | 2 | 2 | 8-6 | 8 |
| ნორჩეპინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 4-7 | 8 |
| ჰეკენი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| აიკი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| სუნდსვალი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-6 | 7 |
| ელფსბორგი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 4 |
| ტრელებორ. | 6 | 1 | 1 | 4 | 3-10 | 4 |
| ერებრო | 5 | 0 | 3 | 2 | 4-9 | 3 |
| დიურგარდ. | 5 | 0 | 3 | 2 | 2-7 | 3 |



*ბაიერნი — კაიზერი 2-1*

## გერმანია
### ბუნდესლიგა. XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ჰანზა – მიუნხენი | 0-0 |
| ბაიერნი – კაიზერი | 2-1 |
| ჰერტა – ლევერკუზენი | 1-1 |
| ბოხუმი – ფრაიბურგი | 1-3 |
| ვოლფსბურგი – აინტრახტი | 3-0 |
| შტუტგარტი – შალკე | 1-0 |
| უნტერჰახინგი – დორტმუნდი | 1-4 |
| კიოლნი – ვერდერი | 1-3 |
| კოტბუსი – ჰამბურგი | 4-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 33 | 19 | 5 | 9 | 61-36 | 62 |
| შალკე | 33 | 17 | 8 | 8 | 60-32 | 59 |
| დორტმუნდი | 33 | 16 | 9 | 8 | 59-39 | 57 |
| ლევერკუზ. | 33 | 16 | 6 | 11 | 53-40 | 54 |
| ჰერტა | 33 | 17 | 2 | 14 | 57-52 | 53 |
| ფრაიბურგი | 33 | 14 | 10 | 9 | 50-36 | 52 |
| ვერდერი | 33 | 14 | 8 | 11 | 50-48 | 50 |
| კაიზერი | 33 | 15 | 5 | 13 | 49-53 | 50 |
| ვოლფსბურ. | 33 | 12 | 11 | 10 | 59-41 | 47 |
| კიოლნი | 33 | 12 | 9 | 12 | 56-49 | 45 |
| მიუნხენი | 33 | 12 | 8 | 13 | 43-54 | 44 |
| ჰანზა | 33 | 12 | 7 | 14 | 34-44 | 43 |
| ჰამბურგი | 33 | 10 | 10 | 13 | 57-57 | 40 |
| შტუტგარტი | 33 | 9 | 11 | 13 | 41-47 | 38 |
| კოტბუსი | 33 | 11 | 3 | 19 | 37-52 | 36 |
| უნტერჰახ. | 33 | 8 | 11 | 14 | 32-54 | 35 |
| აინტრახტი | 33 | 9 | 5 | 19 | 39-67 | 32 |
| ბოხუმი | 33 | 7 | 6 | 20 | 30-66 | 27 |

## ჩეხეთი
### XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ლიბერეცი – სიგმა | 2-0 |
| ბლშანი – სპარტა | 2-2 |
| ბანიკი – ტეპლიცე | 2-0 |
| ბოჰემიანსი – პრჟიბრამი | 1-0 |
| პლზენი – ბრნო | 1-1 |
| სინოტი – ჟიჟკოვი | 1-1 |
| დრნოვიცე – იაბლონეცი | 2-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 28 | 20 | 5 | 3 | 68-28 | 65 |
| სიგმა | 28 | 13 | 9 | 6 | 46-33 | 48 |
| პრჟიბრამი | 28 | 13 | 8 | 7 | 39-25 | 47 |
| სლავია | 27 | 12 | 10 | 5 | 41-28 | 46 |
| ჟიჟკოვი | 28 | 12 | 9 | 7 | 42-37 | 45 |
| ლიბერეცი | 28 | 12 | 7 | 9 | 38-30 | 43 |
| ტეპლიცე | 28 | 12 | 4 | 12 | 42-33 | 40 |
| დრნოვიცე | 28 | 10 | 8 | 10 | 33-34 | 38 |
| ბოჰემიანსი | 28 | 9 | 9 | 10 | 32-34 | 36 |
| სინოტი | 28 | 8 | 10 | 10 | 35-34 | 34 |
| ბლშანი | 28 | 8 | 10 | 10 | 29-32 | 34 |
| იაბლონეცი | 28 | 7 | 8 | 13 | 24-38 | 29 |
| ბანიკი | 28 | 7 | 8 | 13 | 28-44 | 29 |
| ბრნო | 28 | 7 | 7 | 14 | 24-35 | 28 |
| ბუდეიოვიცე | 27 | 6 | 8 | 13 | 32-52 | 26 |
| პლზენი | 28 | 3 | 8 | 17 | 25-61 | 17 |

## თურქეთი
### XXXII ტური

| | |
|---|---|
| ისთანბული – იოზგათი | 0-4 |
| ქოჯაელი – ანთალია | 5-0 |
| დენიზლი – იეთფა | 1-2 |
| ბურსა – ადანა | 2-1 |
| სამსუნი – რიზე | 1-1 |
| გენჩლებირლ. – ბეშიქთაში | 2-1 |
| ერზურუმი – ფენერბახჩე | 1-2 |
| გალათასარაი – ანკარა | 1-2 |
| გაზიანთეფი – ტრაბზონი | 1-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბახჩე | 32 | 22 | 4 | 6 | 77-38 | 70 |
| გალათასარაი | 32 | 21 | 4 | 7 | 71-38 | 67 |
| გაზიანთეფი | 32 | 19 | 8 | 5 | 65-38 | 65 |
| ბეშიქთაში | 32 | 18 | 6 | 8 | 61-45 | 60 |
| ტრაბზონი | 32 | 16 | 7 | 9 | 68-48 | 55 |
| ანკარა | 32 | 14 | 8 | 10 | 57-55 | 50 |
| სამსუნი | 32 | 12 | 9 | 11 | 49-46 | 45 |
| იოზგათი | 32 | 12 | 9 | 11 | 51-44 | 45 |
| დენიზლი | 32 | 12 | 8 | 12 | 51-53 | 44 |
| რიზე | 32 | 12 | 7 | 13 | 43-41 | 43 |
| გინჩლერბირ. | 32 | 13 | 3 | 16 | 41-51 | 42 |
| ისთანბული | 32 | 11 | 7 | 14 | 44-56 | 40 |
| ბურსა | 32 | 11 | 7 | 14 | 53-55 | 40 |
| ქოჯაელი | 32 | 9 | 11 | 12 | 51-55 | 38 |
| ანთალია | 32 | 9 | 8 | 15 | 42-60 | 35 |
| იეთფა | 32 | 6 | 6 | 20 | 45-73 | 24 |
| ერზურუმი | 32 | 5 | 6 | 21 | 34-73 | 21 |
| ადანა | 32 | 2 | 10 | 20 | 45-82 | 16 |

## დანია
### XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ბრონდბიუ – ორჰუსი | 2-1 |
| აკადემისკი – ჰადერსლევი | 1-1 |
| მიდტიულანდი – ლიუნგბიუ | 0-0 |
| ვიბორგი – ოდენსე | 1-1 |
| ჰერფიოლგე – კოპენჰაგენი | 3-4 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 28 | 15 | 6 | 7 | 65-35 | 51 |
| კოპენჰაგენი | 28 | 13 | 11 | 4 | 44-25 | 50 |
| მიდტიულან. | 28 | 13 | 9 | 6 | 45-36 | 48 |
| სილკებორგი | 27 | 12 | 11 | 4 | 39-29 | 47 |
| ვიბორგი | 28 | 12 | 7 | 9 | 45-31 | 43 |
| ლიუნგბიუ | 28 | 11 | 7 | 10 | 36-45 | 40 |
| ოდენსე | 28 | 11 | 5 | 12 | 41-36 | 38 |
| ოლბორგი | 27 | 9 | 10 | 8 | 43-39 | 37 |
| ორჰუსი | 28 | 10 | 4 | 14 | 43-53 | 34 |
| აკადემისკი | 28 | 5 | 13 | 10 | 34-38 | 28 |
| ჰერფიოლგე | 28 | 5 | 9 | 14 | 34-54 | 24 |
| ჰადერსლევი | 28 | 1 | 7 | 20 | 26-74 | 10 |

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...



## „კედელი“ ხელს არ აძლევს ოლივერ კანს

მიუნხენის „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების მეკარის კანის ოსტატობაში ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ ფეხბურთის გულშემატკივრები ამ დღეებში ჩემპიონთა ლიგის ორრაუნდიან ნახევარფინალურ შეხვედრებში; სადაც იგი შესამჩნევი ფიგურა იყო და დიდი წვლილი შეიტანა გუნდის წარმატებაში, რომელიც ფინალში გავიდა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ, ოლივერმა ალბათ ბევრისთვის მიულებელი განცხადება გააკეთა, როცა თქვა: „მინდა, რომ საჯარიმო დარტყმის დროს გუნდმა უარი თქვას ცოცხალ კედელზე“...

ამ სტანდარტული მდგომარეობიდან ბოლო დროს კანს რამდენიმე გოლი გაუშვია, რომელთაგან „ბოხუმთან“ ბასტრიუკის გოლი დამახსოვრებია. „ჩვეულებრივ ასეთ დარტყმებს ვიგერიებ. მაგრამ კედელმა მხედველობა დამიფარა. იქნებ მომავალში უარი ვთქვათ კედელზე? თუ თვალი შევასწარი დარტყმის მომენტს, ამ მანძილიდან არასოდეს გოლს არ ვუშვებ. იგივეს ვიტყვი უფრო ახლო მანძილიდან დარტყმებზე. საჯარიმო მოედნის იქით, 20 დარტყმიდან ვერც ერთი ვერ აღწევს მიზანს. ისე, კედელს მხოლოდ იმიტომ ვაყენებ, „ალიბი“ რომ მქონდეს: ეს რომ არ გავაკეთო და მეტოქეს იდიალური დარტყმა გამოუვიდეს და ვერ მოვიგერიო ბურთი, ყველა სულელად ჩამთვლის“.

რაც შეეხება „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელის ოტმარ ჰიტცფელდის პოზიციას, იგი მთლად არ იზიარებს კანის აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ, მიაჩნია — 25 მეტრზე შორი მანძილიდან დარტყმისას „ოთხკაციანი კედელი მართლაც არაა საჭირო — ორიც საკმარისია“.

## ენრიკო კიეზა – სნაიპერი

**ენრიკო კიეზამ (დაიბადა 1970 წლის 29 დეკემბერს) თანამიმდევრულად განვლო იტალიური პროფესიული ფეხბურთის ყველა საფეხური. ის, რომ იგი „დაბადებით სნაიპერია“, ჯერ კიდევ „სერია C“-ში შეამჩნიეს. შემდეგ სერიოზული სკოლა გაიარა „სერია B“-ს ძლიერ კლუბებში („მოდენა“, „კრემონეზე“), ბოლოს კი, სრულიად დამსახურებულად გენუის „სამპდორიაში“ აღმოჩნდა, რომელიც იტალიის უმაღლეს ლიგაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა. უფრო სწორად, „სამპდორიაში“ დაბრუნდა. იგი ამ ქალაქთან ახლოს გაიზარდა, „სამპდორიას“ ჭაბუკთა გუნდში თამაშობდა, აქაურმა მწვრთნელებმა ბევრი რამ რომ ასწავლეს, შემდეგ გზა დაულოცეს. სადაც არ უნდა ეთამაშა კიეზას, ყოველთვის ჰქონდა „სამპდორიის“ გამოსვლებისთვის თვალ-ყურის დევნების საშუალება. მარტო რობერტო მანჩინისა და ჯანლუკა ვიალის თამაშის ნახვა რად ღირდა.**




როცა „სერია B“-ში კარგა ხნის თამაშის შემდეგ კიეზა მშობლიურ „სამპდორიაში“ ჩაირიცხა, ამ კლუბს უკვე აღარ ჰქონდა იტალიის ჩემპიონობის პრეტენზია. მოხდა ისე, რომ მან ზედიზედ დაკარგა რამდენიმე წამყვანი ოსტატი, მაგრამ იქ დარჩა, რაც მთავარია, მანჩინი, ნამდვილი კაპიტანი, და, თუ გნებავთ, ნამდვილი მწვრთნელი მინდორზე (მანჩინი ახლა მართლაც მწვრთნელად მუშაობს „ფიორენტინაში“). ხანში რომ შევიდა, ვეტერანმა მაინც არ დაკარგა სნაიპერის თვისებები, მაგრამ მისთვის მთავარი გახდა გუნდისთვის გაძღოლა, ახალგაზრდებისათვის გზის ჩვენება, მეტოქის კარზე „დაგეშვა“. აი, ამ დიდებულ უნარს კი, რომელმაც არაერთი მატჩი ბრწყინვალედ წარმართა იტალიის ნაკრებში, მანჩინის ვინ წაართმევდა. კიეზას ნიჭზე და ალღოზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი მალე შეეჩვია ვეტერანის თამაშის მანერას. მანჩინი-კიეზას დუეტი იტალიაში ერთ-ერთი საუკეთესო გახდა. ამ წყვილს „სამპდორიის“ ნამდვილ „კოზირს“ უწოდებდნენ. რას გააწყობდნენ გენუელები იმ სუპერკლუბებთან, რომლებსაც ერთი კი არა, რამდენიმე ასეთი „კოზირი“ ჰქონდათ! და მაინც, 1995-96 წლების სეზონში „სამპდორიას“ ურიგოდ არ უთამაშია. სად მისი 52 ქულა და სად ჩემპიონ „მილანის“ 73 — იტყვის მკითხველი. ჩვენ ამ გუნდებს და მათ ფინანსურ შესაძლებლობებს არ ვადარებთ — ეს ხომ სრული უაზრობა იქნებოდა. მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ ამ სეზონში „მილანს“, თუმცა ჩემპიონი გახდა, არ აღმოაჩნდა კიეზას შედეგიანობის მქონე სნაიპერი: კიეზამ ჩემპიონატში 22 გოლი გაიტანა და სნაიპერთა სიაში მესამე იყო (პროტიმ „ბარიდან“ და „ლაციოს“ თავდამსხმელმა, განთქმულმა სენიორიმ 24-24 გოლი გაიტანეს). მილანელთაგან საუკეთესო ვეა კი 12 გოლის ავტორი გახდა.

იმ წლებში „სკუადრა აძურას“ მწვრთნელ არიგო საკის გინება იტალიელ ჟურნალისტებისათვის „კარგი ტონის“ მაჩვენებელი გახდა. აგინებდნენ, თათხავდნენ და ხანდახან წამოსცდებოდათ ხოლმე, რომ იგი მაინც უმაღლესი დონის სპეციალისტია. რამდენი ნამდვილი ტალანტი აღმოაჩინა და გზა გაუკაფა. ერთი მათგანი სწორედ ენრიკო კიეზა გახლავთ.

როცა საკიმ ინგლისში გასამგზავრებელი გუნდის შემადგენლობაში კიეზა დაასახელა, ამას მაინცდამაინც დიდი გაოცება არ გამოუწვევია, თუმცა, 25 წლის ფეხბურთელს ნაკრებში ერთი მატჩიც არ ჰქონდა ჩატარებული. კიეზა ხომ ქვეყნის 1995-96 წლების ჩემპიონატში აშკარად გამოირჩეოდა. სხვა სნაიპერებზე, მათ შორის პროტისა და სინიორიზე მწვრთნელს თავისი აზრი ჰქონდა.

მართლაცდა, უიშვიათესი შემთხვევაა, რომ ფეხბურთელს დებიუტი ნაკრებში ჰქონდა ...ევროპის პირველობის ფინალურ ტურნირში. ეს მეტოქისათვის დიდად მოულოდნელი, გარკვეული სიურპრიზი იყო, მაგრამ როგორი მტკიცე ნერვები, საკუთარი ძალების რწმენა და ოსტატობა უნდა ჰქონდეს მოთამაშეს, რომელიც ასეთ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე. სწორედ ასეთი იყო ინგლისში, ევროპის ჩემპიონატზე კიეზა, იტალიელი სპეციალისტების აზრით, განსაცვიფრებელი მოთამაშე სწრაფი და ენერგიული, ორიგინალური დრიბლინგით და კარგი დარტყმით.

პირველ მატჩში რუსებთან, რომელიც იტალიელების გამარჯვებით (2-1) დამთავრდა, კიეზა არ მონაწილეობდა. ეს იყო კაზირაგის ტრიუმფის დღე, ამასთან, კარგად ითამაშეს ძოლამ და რავანელიმ, თუმცა, ეს უკანასკნელი სულ ცოტა ხანს იყო მინდორზე. როგორი იყო საყოველთაო გაოცება, როდესაც მეორე მატჩში ჩეხებთან იტალიელები მინდორზე კაზირაგისა და ძოლას გარეშე გამოვიდნენ. რა თქმა უნდა, ახლა არ ღირს ამ მატჩის დეტალების გახსენება, ის კი ფაქტი იყო, რომ კიეზამ შეხვედრა ძალიან კარგად წარმართა. მე-18 წუთზე მინდვრის საკუთარ ნახევარზე მიიღო ბურთი და ფუზერთან ერთად პირდაპირ კლასიკური კონტრშეტევა წარმართა. მისი შეჩერება ჩეხების მცველებმა ვერ შეძლეს. კარის სიახლოვეს კიეზამ კიდევ ერთხელ მიიღო ფუზერის გადაცემა და გოლით დააგვირგვინა იგი. მართალია, იტალიელები საბოლოო ანგარიშით მაინც დამარცხდნენ (1-2), მაგრამ მეოთხედფინალში გასვლის შესაძლებლობები მაინც რჩებოდა. არა, იტალიელებს ამ შეჯიბრებაში წარმატება მაინც არ ეწერათ...

თითქოს უცნაურია, იტალიელები ინგლისიდან დამარცხებული დაბრუნდნენ, მათი თავდამსხმელების ფასმა კი საერთაშორისო ბაზარზე იმატა. რავანელი „მიდლსბროში“ გადავიდა და ინგლისური პრემიერ-ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი გახდა. კაზირაგი და ძოლაც თავაწეულნი დადიოდნენ, მაგრამ კიეზას პოპულარობამ მაინც ყველა იტალიელ სნაიპერს გადააჭარბა. ამის გამო იყო, რომ „პარმამ“, რომელიც ჩემპიონატში მეექვსე ადგილით აშკარად უკმაყოფილო იყო, „სამპდორიასთან“ მოლაპარაკება გამართა. თუკი კიეზა ამ კლუბში გადავიდოდა, მაშინ პარმელებს საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლის კარგი შესაძლებლობები ექნებოდათ. „სამპდორიამ“ და კიეზამ ერთხანს იუარეს, მაგრამ, როცა „პარმას“ „არგუმენტმა“ — სატრანსფერო თანხამ 26 მილიარდ ლირას მიაღწია, ამას უკვე ვეღარ გაუძლეს.

ასე აღმოჩნდა კიეზა ახალ კლუბში. რა ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი მაშინ „პარმაში“! დაცვაში ბრაზილიელი ზე მარია, საფრანგეთის ნაკრების წევრი ტიურამი (მომავალი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი), გნებავთ, აპოლონი, გნებავთ, არგენტინელი სენსინი. შუა ხაზზე დინო ბაჯოს მხარში ამოუდგა ფრანგი ბრავო. შეტევით ხაზზე — არგენტინელი კრესპო, რომელიც მშვენივრად თამაშობდა ატლანტაში ოლიმპიადაზე და არგენტინის ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი, მელი, რომელსაც იტალიაში დიდად აფასებდნენ, და რაც მთავარია, ძოლა და კიეზა!

დიახ, კიეზა „პარმაში“ ბრწყინავდა. ახლა კი იგი ასეთივე წარმატებით გამოდის „ფიორენტინაში“ და მთელი 2000-2001 წლების სეზონი პირველი სნაიპერის წოდებისათვის იბრძვის. ჯერჯერობით წინ არის შევჩენკო, მაგრამ ჩემპიონატის დასრულებამდე ხომ საკმაო დრო რჩება.

ბიჟი თორელი

### საქმე ერთმა მატჩმა გაუფუჭა

**„სულ ერთი თვის წინათ მადრიდის „რეალი“ აპირებდა 30 მილიონი დოლარი გადაეხადა „ლიდს იუნაიტედისათვის“ ხორვატული წარმოშობის ავსტრალიელ მარკ ვიდუკას შესაძენად, მაგრამ „ლიდსი“ — „ვალენსიას“ მატჩის შემდეგ ვისენტე დელ ბოსკეს განწყობილება სრულიად შეიცვალა:**

**— ვიდუკა „ვალენსიასთან“ არაფრით გამოირჩეოდა და მთლიანად გამიცრუა იმედები . თვალყურს ვადევნებდი მის თამაშს ჩვენს წინააღმდეგ. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ეს, ფაქტობრივად, ორი განსხვავებული ადამიანი იყო.**

**— ჩვენ არც კი ვაპირებდით ვიდუკას გაყიდვას — ეს უკვე „ლიდსის“ წარმომადგენელმა განაცხადა.**

### «თავდაუსხმელობის პაქტი» არ დაირღვევა

მადრიდის „რეალსა“ და „ბარსელონას“ შორის „თავდაუსხმელობის პაქტის“ ძალით მათ ერთმანეთის მოთამაშეები არ უნდა გადაიბირონ. რახან ლუიშ ფიგუს არავითარ შემთხვევაში აღარ უნდოდა კატალონიურ კლუბში დარჩენა, „ბარსელონას“ ხელმძღვანელობას არაფერი უთქვამს. ახლა, როცა პატრიკ კლუივერტის საკითხი დადგა, იგი მადრიდში გადავა მხოლოდ მაშინ (2002 წელს), როცა „ბარსელონასთან“ კონტრაქტი დაუმთავრდება. ამასთან, იგი მიიღებს 7,5 მილიონ დოლარს წელიწადში. ეს ის თანხაა, რომელსაც ჰოლანდიელი „ბარსელონასაგან“ მოითხოვდა კონტრაქტის გაგრძელების შემთხვევაში.

### დროს ვერ შემოაბრუნებს

**ცნობილ ოსტატ ვალერი კეჩინოვს, რომელიც ახლა რამენსკოეს „სატურნში“ თამაშობს, ჰკითხეს, რატომ არ გამოიყენა მან შესაძლებლობა და არ ითამაშა უზბეკეთის ნაკრებში, რომელსაც მსოფლიო პირველობაზე მოხვედრის კარგი შესაძლებლობები აქვს.**

**— ვიცი, რომ ამ ნაკრებში გამოდიან მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები. მამინოვი და პაშინინი. მაგრამ დროს უკან ვერ შემოაბრუნებ. უკვე 6 მატჩი მაქვს ნათამაშევი რუსეთის ნაკრებში.**

### ეჰ!

მას შემდეგ, რაც „სტრასბურმა“ საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში თამაშის უფლება დაკარგა, მის მატჩს საკუთარ მინდორზე „ოსერის“ წინააღმდეგ („გავარდნილმა“ გუნდმა მოიგო — 1-0) მხოლოდ 3728 მაყურებელი ესწრებოდა.

ეჰ! ზოგიერთი ქვეყნის კალენდარული მატჩისათვის ეს სულაც არ იქნებოდა ურიგო რაოდენობა.

### ამდენი ფული ჩაყარო და...

**რამდენი ფული ჩაყარეს უმდიდრესი „პარი სენ-ჟერმენის“ მესვეურებმა და რა მიიღეს: პარიზელებმა ვერც ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს და ვერც უეფას თასზე.**

**ახლა ლუის ფერნანდესი კვლავ მოითხოვს გუნდის გაძლიერებას, ნიკოლა ანელკა კი მომავალ სეზონში გულშემატკივრებს დიდ წარმატებებს ჰპირდება. დიახ, მაგრამ ამ სეზონს რომ ვეღარაფერი ეშველება?!**

## ვინა ხართ, თქვენ, რაულ?

**მადრიდის „რეალის“ გულშემატკივრები დიდხანს ვერ ივიწყებდნენ ძველ კერპს — ემილიო ბუტრაგენიოს. ბუტრაგენიო „რეალიდან“ კი წავიდა, მაგრამ არც ერთ ესპანურ კლუბს არ დაკავშირებია, რომ თავიდან აეცილებინა მადრიდულ „სამეფო გუნდთან“ შეხვედრა და მექსიკას მიაშურა.**

სანამ „რეალში“ რაული არ დაწინაურდა, ბუტრაგენიო კვლავ მადრიდელთა კერპად რჩებოდა.

● ***რაულ, ვინა ხართ თქვენ?***

— ვინა ვარ და უკვე ბევრ რამეს მივაღწიე. ახლა ისეთი ფეხბურთელების მხარდამხარ ვთამაშობ, სულ ცოტა ხნის წინათ მათ ავტოგრაფებს რომ ვაგროვებდი.

● ***ამის შემდეგ ძალიან შეიცვალეთ?***

— არა, მაგრამ, სამაგიეროდ, ადამიანები შეიცვალნენ ჩემს გარშემო. მე, ვალდანო რომ არა, ვინ გამომიყვანდა „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე. ამის შემდეგ ბუტრაგენიომ დაკარგა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და ტრიბუნებზე აღმოჩნდა, ძალიან სამწუხაროა, რომ მას „რეალის“ დატოვება მოუხდა (ახლა, როგორც ცნობილია, ბუტრაგენიო კვლავ „რეალის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელია — რედ.)

● ***რა ისწავლეთ, მას შემდეგ, რაც „რეალში“ დაიწყეთ თამაში?***

— ისე ვითამაშო, რომ სიამოვნება მივიღო, შემდეგ კი მაყურებელსაც მივანიჭო სიამოვნება.

● ***არის ვინმე, რომლის მიბაძვა გსურდათ?***

— ასეთი იყო მარადონა, მაგრამ მისგან კარგიც შეიძლება ისწავლო და ცუდიც.

● ***რა ნაკლი გაქვთ?***

— ნაკლი გაცილებით მეტი მაქვს, ვიდრე ღირსებები. ყოველთვის მოხერხებულად როდი ვიღებ ბურთს, ხშირად ვაყოვნებ და პარტნიორს დროულად არ გადავცემ, კარგად ვერ ვთამაშობ „მეორე სართულზე“.

● ***რაული, დელ პიერო, კლუივერტი — რომელია მათ შორის უკეთესი?***

— თქვენ ისეთ შეკითხვას მაძლევთ, რომელზეც პასუხის გაცემა დღეისათვის ალბათ არავის შეუძლია.

● ***ფეხბურთის გარდა, კიდევ რას საქმიანობთ?***

— როგორც ყველა, ვინც ლატაკად დაიბადა და გაიზარდა, არც მე ვცხოვრობ დღევანდელი დღით და ვფიქრობ იმაზე, რა მომელის თამაშის დასრულების შემდეგ. ამიტომ ვეუფლები ბეითარის სპეციალობას, რათა შემდეგ ხელი მოვკიდო ამ საქმეს.



ძნელი დასაჯერებელია, რომ რაული მართლაც ვეტერინარი ექიმი გახდეს. მაგრამ მან ხომ კიდევ კარგა ხანს უნდა ითამაშოს ფეხბურთი.

# როგორია წლევანდელი შედეგები?



მსოფლიოს წამყვანი ჩოგბურთელი ვაჟების მდგომარეობა წლევანდელი მოპოვებული ქულებით ასეთია:

1. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) – 4845. 2 მარატ საფინი (რუსეთი) – 4080. 3. ანდრე აგასი (აშშ) – 3630. 4. პიტ სამპრასი (აშშ) – 2840. 5. მაგნუს ნორმანი (შვედეთი) – 2620. 6. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) – 2605. 7. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) – 2575. 8. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) – 2225. 9. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) – 2090. 10. პიტ ჰენმანი (ინგლისი) – 2020. 11. ალექს კორეტხა (ესპანეთი) – 1965. 12 არნო კლემანი (საფრანგეთი) – 1940. 13 სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) – 1920. 14. თომას ენკვისტი (შვედეთი) – 1795. 15. ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) – 1615. 16. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) – 1520. 17. დომენიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) – 1415. 18. როჟე ფედერერი (შვეიცარია) – 1410. 19. უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) – 1390. 20. ანდრეი პაველი (რუმინეთი) – 1335 და ა.შ.



## „დები კი ხართ, მაგრამ ერთმანეთს უნდა ეთამაშოთ“

„დიდი მუზარადის“ ტურნირებში ორგზის გამარჯვებულმა ჯიმ კურიემ გააკრიტიკა დები უილიამსები იმის გამო, რომ მათ ერთმანეთთან თამაში არა სურთ.

— მინდა გავიგო, რომელი მათგანია უფრო ძლიერი და არა მსურს, ფარსის მოწმე ვიყო, როგორც ეს ინდიან-უელსში მოხდა.

კურიე იმას გულისხმობდა, რომ ამ ტურნირის ნახევარფინალის წინ, როცა დები ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ, ბოლო მომენტში ვენუსმა ტრავმა მოიმიზეზა და კორტზე არ გამოჩენილა.

## ჰოკეი • ჩეხეთის ნაკრები — მსოფლიო ჩემპიონი

ჰანოვერში (გერმანია) დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში. ჩეხებმა ფინალში ანგარიშით 3-2 სძლიეს ფინელებს და ზედიზედ მესამედ დაეუფლნენ პირველ ადგილს.

### პროფესიული კრივის სამყაროში

## ტრინიდადს სამივე ტიტული უნდა




პუერტორიკოელმა ფელიქს ტრინიდადმა, რომელმაც დიდი ხანი არაა, რაც საშუალო წონაში გადაინაცვლა, მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა **WBA-ს** ვერსიით. მან ნოკაუტით დაამარცხა ჩემპიონის ქამრის მფლობელი ამერიკელი უილიამ ჯოპი.

ბრძოლა თავიდანვე ტრინიდადის უპირატესობით წარიმართა. მისი მეტოქე პირველსავე რაუნდში ნოკდაუნში აღმოჩნდა, შემდეგ, მეოთხე რაუნდშიც იგივე გამეორდა. მომდევნო რაუნდში კი პუერტორიკოელმა ორთაბრძოლას წერტილი დაუსვა და გაიმარჯვა ნოკაუტით.

„ტრინიდადი დიდი მოკრივეა, — აღიარა ექს-ჩემპიონმა ბრძოლის შემდეგ. — მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, რომ მას ასეთი ძალის დარტყმები აქვს“.

თვით ფელიქსმა დარწმუნებით თქვა: „ყოველთვის ვამბობდი, რომ მზად ვარ საშუალო წონაში გამოსასვლელად და აი, მომეცა საშუალება, რომ დამემტკიცებინა“.

ახლა პუერტორიკოელ მოკრივეს, რომლის პრომოუტერი, სხვათა შორის, კარგად ცნობილი დონ კინგი გახდა, ელის შეხვედრა WBC და IBF-ს ვერსიებით მსოფლიოს ჩემპიონ ბერნარდ ჰოპკინსთან. ეს ბრძოლა სექტემბერშია დაგეგმილი. ეტყობა, ტრინიდადი, რომელსაც ჯერ ბრძოლა არ წაუგია, მალე სამივე საჩემპიონო ქამარს დაეუფლება.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**15 მაისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ოვერტაიმი (19.20). ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00). ***ESPN.*** იტალიის საფეხბურთო მიმოხილვა (12.00), კალათბურთი. ნბა (22.00, 05.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (15.00, 20.00), მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (22.00). კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.30), ***НТВ плюс футбол.*** საფრანგეთის ჩემპიონატი (13.15), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.45), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (21.30), ჩემპიონთა ლიგა: „რეალი“ – „ბავარია“ (22.50), რუსეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (0.35), ***НТВ плюс спорт.*** აერობიკა. მსოფლიო ჩემპიონატი (16.05), სპორტული ავტომრბოლების მსოფლიო ჩემპიონატი. წრიული რბოლა (23.00).

**16 მაისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი: „ლივერპული“ – „ალავესი“ (0.05). ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.50, 20.00). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (15.00, 20.00), ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი (23.30). ***EUROSPORT.*** მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (14.40). ფეხბურთი. უეფას თასი (20.00). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.00), ჩემპიონთა ლიგა: „რეალი“ – „ბავარია“ (16.55), „ლიდსი“ – „ვალენსია“ (23.00), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (0.50). ***НТВ плюс спорт.*** სპორტული ავტომობილების მსოფლიო ჩემპიონატი. წრიული რბოლა (16.10). ტაილანდური კრივი (17.55).

**17 მაისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ფეხბურთი. უეფას თასის ფინალი: „ლივერპული“ – „ალავესი“ (15.20). ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.50), ***ESPN.*** ფეხბურთი. უეფას თასის ფინალი (20.00), ***EUROSPORT.*** კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (20.00, 2.15), საბრძოლო ორთაბრძოლები (0.30), ***НТВ плюс футбол.*** რუსეთის თასი. ნახევარფინალი: „სოკოლი“ – „ლოკომოტივი“ (14.00), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.45), ჩემპიონთა ლიგა, ნახევარფინალური მატჩი (17.20), მსოფლიო ფეხბურთი (22.10), ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩი (23.05), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (0.50), ***НТВ плюс спорт.*** ტაილანდური კრივი (14.40), სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი (18.35). კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (22.50).

## ტოტო ლოტო № 18

ტირაჟის შედეგები 00-00.00.2001

**ლოტო 6-42**: 3 12 17 18 21 34

| | | |
|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 x | 6407,10 ლარი |
| 5 რიცხვი | 0 x | 313,80 ლარი |
| 4 რიცხვი | 10 x | 14,30 ლარი |
| 3 რიცხვი | 161 x | 1,50 ლარი |

**სუპერ 7**: 5 6 1 8 7 8 6

| | | | |
|---|---|---|---|
| 5618786 | 50,000 ლარი | 786 | 50 ლარი |
| 618786 | 15,000 ლარი | 86 | 3 ლარი |
| 18786 | 5,000 ლარი | 6 | 0.50 ლარი |
| 8786 | 500 ლარი | | |

**ტოტო ფეხბურთი 12 მატჩი**: 2 1 X X 2 1 2 X X* 1 1 X

| | | |
|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 23255,00 ლარი |
| 11 შედეგი | 0 x | 878,80 ლარი |
| 10 შედეგი | 5 x | 82,80 ლარი |

* - შედეგი დაფიქსირდა კენჭისყრით

**ტოტო ფეხბურთი 11 მატჩი**: 1 X 1 X 2 1 2 2 1 X X

| | | |
|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 x | 448,10 ლარი |
| 10 შედეგი | 0 x | 32,00 ლარი |
| 9 შედეგი | 4 x | 8,00 ლარი |

**სპორტული ლოტო № 18**

ტირაჟის შედეგები 13.05.2001

| სვლა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოთამაშის გამოცნობილი რიცხვები | 5 | 11 | 7 | 20 | 6 | 23 | 3 | 4 | 19 | 2 |
| სვლა | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| მოთამაშის გამოცნობილი რიცხვები | 14 | 21 | 18 | 15 | 24 | 13 | 22 | 8 | 16 | 17 |
| მოგებული თანხა | | 10,000 ლარი | 1,000 ლარი | 100 ლარი | 30 ლარი | 10 ლარი | 5 ლარი | 2 ლარი | 1 ლარი | 2 ბილეთი |

გაუთამაშებელი რიცხვები: 1 9 10 12

### „ტოტო ლოტოს“ მოყვარულთა საყურადღებოდ!

საქართველოს პარლამენტის მიერ 2001 წლის 16 მარტს მიღებული კანონის თანახმად ლატარიის და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობაზე დამატებით დაწესდა მიზნობრივი საბიუჯეტო მოსაკრებელი შემოსავლებიდან 25%-ის ოდენობით, რაც დაემატა არსებულ გადასახადებს (საპრიზო ფონდი 50%, გადასახადი ადგილობრივ ბიუჯეტში 20%, სულ 95%).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შპს „საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი“ იძულებულია ა/წლის 14 მაისიდან დროებით შეაჩეროს ლატარიის ბილეთების რეალიზაცია და ტირაჟის გათამაშება.

მუშაობის განახლების შესახებ დამატებით გაცნობებთ.

„საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი“

### ქვეყნები და ეროვნული ლატარიიდან სპორტის სასარგებლოდ წლიური შემოსავალი (ეროვნულ ვალუტაში)

ავსტრია – 420 მლ
ჩეხეთი – 606 მლ
ფინეთი – 400 მლ
პოლონეთი – 120 მლ
შვედეთი – 121 მლ
დიდი ბრიტ. 250 მლ
შვეიცარია – 40 მლ
ისრაელი – 40 მლ.
იტალია – 1 მილიარ.
გერმანია – 41 მლ
საფრანგეთი – 0,82 მლ
უნგრეთი – 2,66 მლ
პორტუგალია – 37,8 მლ
სლოვენია – 1,30 მლ და ა.შ.
საქართველო – 0

?!

## BTA-ს ინდივიდუალური რეიტინგი

**1 მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — 5725. 2. ვენუს უილიამსი (აშშ) — 5034. 3. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 4378. 4. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) — 3046. 5. მონიკა სელეში (აშშ) — 2749. 6. სერენა უილიამსი (აშშ) — 2319. 7. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — 2050. 8. ამანდა კეცერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 2029. 9. ამალი მორესმო (საფრანგეთი) — 2015. 10. ელენა დემენტიევა (რუსეთი) — 2012. 11. ანა კურნიკოვა (რუსეთი) — 1926. 12. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) — 1819. 13 კიმ კლიისტერსი (ბელგია) — 1708. 14. არანტა სანჩეს — ვიკარიო (ესპანეთი) — 1662. 15. მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 1660. 16. ანკე ჰუბერი (გერმანია) — 1458. 17. მარი პირსი (საფრანგეთი) — 1456. 18 ჯასტინ ჰენინი (ბულგარეთი) — 1404. 19. ჩანდა რუბინი (აშშ) — 1395. 20. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) — 1372 და ა.შ.**

## „მარტინას სრული თავისუფლება მივანიჭე“

მელანი მოლიტორი მარტინა ჰინგისის დედა და ყოფილი მწვრთნელია. მას ჰკითხეს, რატომ აღარ დაჰყვება ქალიშვილს ტურნირებზე და აღარ მეურვეობს? მელანის განმარტებით, მათ ასეთი ერთობლივი გადაწყვეტილება, მაიამის ტურნირის ფინალში ვენუს უილიამსთან დამარცხების შემდეგ მიიღეს.

— ჩვენს შორის პროფესიული კამათი იყო, რამაც ძალიან დაძაბულ ურთიერთობამდე მიგვიყვანა. ოჯახში სიმშვიდის შესანარჩუნებლად გადავწყვიტეთ ამიერიდან მარტინასათვის სრული თავისუფლებაც მიგვეცა როგორც კორტზე, ისე მის მიღმა. იგი ხომ 18 წლისა აღარ არის, უკვე ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი ქალია.

**საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ასოციაციის პრეზიდიუმის წევრს, ვეტერან ხელბურთელს ზურაბ კეკელიძეს მამის გარდაცვალების გამო.**

დაკრძალვა ხუთშაბათს, 17 მაისს, ქ. ლანჩხუთში.



## კროსვორდი № 37

**თარაზულად:** 6. გერმანიის საფეხბ. ნაკრების ყოფილი წევრი, 7. ქართული ხალხური თამაში, 8. ხტომისთვის განკუთვნილი ადგილი, წყალში ხტომასა და თხილამურებით ფრენაში; 10. იტალიის საფეხ. კლუბი, 11. საჭიდაო ინვენტარი, 14. ილეთი ჭიდაობაში, 15. მძლეოსნური იარაღი, 16. მაღალი ოსტატობა, ანუ... 19. ავსტრიის საფეხ. კლუბი, 20. მოკრივის ხელთათმანის წონის მსაზღვრელი, 21. „ჯარისკაცი“ საჭადრაკო დაფაზე, 22. მუქარა ჭადრაკში.

**შვეულად:** 1. ინგლისელი ფეხბურთელი, 2. მეცნიერება, რომელსაც ღრმად ასწავლიან ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მომავალ სპეციალისტებს, 3. ილეთი ქართულ ჭიდაობაში, 4. ნიჩბოსნობის სადგური, 5. ძალოსნური ორჭიდის სახეობა, 9. ჩილელი ლეგიონერი ფეხბურთელი ევროპაში, 12. საბჭოთა ნაკრების ვეტერანი რუსი ფეხბურთელი, 13. ფეხბურთელ კინის სახელი, 17. პარტია ჩოგბურთში, 18. მოჭადრაკე კრამლინგის სახელი.

**№36 კროსვორდის პასუხები. თარაზულად:** 5. არბალეტი, 6. ვიალი, 7. სალაძე. 8. შხარა, 9. ლოსაბერიძე, 10. შუბი, 14. ფრე, 15. წყალბურთი, 17. ირაო, 18. პანტელი, 20. ყიმი, 24. შტანგა, 25. ტურნირი. **შვეულად:** 1. ვაზაგაშვილი, 2. მანძილი, 3. ტირი, 4. მაჩაიძე, 11. ბა, 12. კრამლინგი, 13. ათენი, 15. წერაყინი, 16. სტარტი, 19. აია, 21. იერო, 22. ეში, 23. პასი.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:**

1. d4! მუქარა 2. ეd6X.
1. ...ლ:a3 2. მ:c3X. 1. ...ed 2. ლ:d3X.
1. ...კf8 2. მd:e3X 1. ...ე:e6 2. ლ:e6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კ.ა! ჭავჭ 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე.